გაზეთი „ახალი თაობა“ და ვებგვერდი AKHALITAOBA.GE აცხადებენ 50%-იან საზაფხულო ფასდაკლებას რეკლამის განთავსებაზე 1 სექტემბრის ჩათვლით. დარეკეთ 577460659 ან 595183709

ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 25 ივლისი, 2019 №174 (8128) ფასი: 60 თეთრი

აზერბაიჯანელი დეპუტატი: „თბილისი ძველი აზერბაიჯანული ქალაქია“

ბაქო პრეტენზიას შირაქის ველზეც აცხადებს გვ.6

19 ივლისიდან

რევაზ მიშველაძე

ციყვი ბორბალში

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

სოსო ცინცაძე: „ოქრუაშვილმა ქართულ პოლიტიკაში ცუნამის როლი შეასრულა“

გვ.4

„ოქრუაშვილს ეყო სარისკო გამბედაობა და სიმართლე თქვა, რა არის ქართული პოლიტიკა“

„ან ჩვენ გავუშვებთ ივანიშვილს, ან ის გაგვიშვებს ცხენში“ გვ.2

ლაშა ჩხარტიშვილი: „შუშის კადაფიმ პოლიტიკური რეპრესიები დაიწყო“

მამუკა ხაზარაძესა და ბადრი ჯაფარიძეს პროკურატურამ ბრალი წაუყენა გვ.7

ნაზი ჯანეზაშვილი: „შალვა თადუმაძე უფრო თავაზიანი და სოლიდური მეგონა“ გვ.5



მამუკა გამყრელიძე: „ერთადერთი გამოსავალი მთელი პოლიტიკური სპექტრის შეცვლაა“ გვ.3

ვახტანგ ძაბირაძე: „ხაზარაძე შეცდა. მას შავი სამუშაო იატაკქვეშ უნდა ეწარმოებინა“ გვ.3

სამართალი გვ.7

ქიბარ ხალვაშმა ექსპერტიზის ბიუროში ხელმოწერის ნიმუში დატოვა

ნინო ლომჯარია: „ქიბარ ხალვაშს რუსთავი 2-ის გადაფორმებით კანონი არ დაურღვევია“

მიხეილ კალანდია ბრალს არ აღიარებს

ISSN 1987-9385

5 შოთა მალაშხია: „ქართული ოცნება“ საბჭოთა სექტაა“

6 რამდენმა საჯარო მოხელემ დატოვა საპენსიო სისტემა

6 გურამ ვახტანგაშვილი: „ოპოზიციამ ხელისუფლება პროვოკაციაზე წამოიკიდა“

8 ვინ არის ბორის ჯონსონი, ბრიტანეთის ახალი პრემიერი
მისი დიდი პაპა თურქი იყო, ბებია – ჩერქეზი

„ან ჩვენ გავუშვებთ ივანიშვილს, ან ის გაგვიშვებს ციხეში“

ლაშა ჩხარტიშვილი: „შუშის კადაფიმ პოლიტიკური რეპრესიები დაიწყო“

შორენა მარსაგიშვილი

„ახლა მთლიანად ჩვენზეა დამოკიდებული, საქართველო ევროკავშირის წევრი სახელმწიფო გახდება თუ რუსეთის ფედერაციაში შემავალი გუბერნია“

რა გზას დაადგა ხელისუფლება, რატომ არის ხალხის გაერთიანება აუცილებელი, რა არჩევანის წინაშე დგას საქართველო? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, უფლებადამცველი ლაშა ჩხარტიშვილი ესაუბრება.

– გავრცელებული ინფორმაციით, შეიძლება, საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა 1 ლარი გახდეს. ხელისუფლებამ გარეკა თუ რა ხდება?

– რა ხდება და ოცნებების ასრულება დაიწყო. მინდა მივულოცო ყველა ქოცმადიანს. ყველას კარგად გვახსოვს ივანიშვილის დაპირებები, რომლის დაჯერებაც საღად მოაზროვნე ადამიანისთვის ძალიან ძნელი იყო, თუმცა ვიღაცებმა დაიჯერეს, ვიღაცებმა კი დღევანდელი ხახვი ამჯობინეს ხვალინდელ ხახვის პლანტაციებს.

საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, სადაც თავის კანდიდატს გაამარჯვებინა ხელისუფლებამ, მათ ბოლომდე გამოავლინეს ავტორიტარული ბუნება – დაწყებული სისხლიანი ღამით, დამთავრებული თავისუფალ მედიაზე შეტევით.

ივანიშვილი ამბობდა, რომ ისეთ დემოკრატიას დაამყარებდა, ევროპას გააოცებდა. 20 ივნისის სისხლიანმა ღამემ მართლა გააოცა ევროპა. არადა, რომ გეკითხა, ხალხის დარბევა ამათი სტილი არ იყო, ისევე, როგორც ოპონენტების დაჭერები.

„ოცნების“ რეჟიმმა მეც დამიჭირა და, საქმეს ისეთი პირი უჩანს, კიდევ ბევრს დაიჭერენ.

– დაჭერების ამბავი „ოცნებას“ ჯერ წინა ხელისუფლების რეკორდი არ მოუხსნია. მარტო თქვენ რამდენჯერ დაგაკავათ სააკაშვილის რეჟიმმა.

– ნაციონალების მმართველობის დროს სულ რაღაც 9-ჯერ დამაპატიმრეს, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ცვლის. ივანიშვილი დიდად აღარ განსხვავდება სააკაშვილისგან. ეს უკანასკნელი უხეშად იქცეოდა, „ოცნების“ ლიდერი მასზე ბევრად უფრო ეშმაკია და ჩუმი ხრიკებით ცდილობს ოპონენტების განეიტრალებას.

ტყუილად არ დავარქვი ამ ადამიანს შუშის კადაფი. მისი წყალობით საქართველოში კადაფის რეინკარნაცია მოხდა. სხვა სახელს, უბრალოდ, ვერ ვუძებნი იმ პროცესებს, რომლებიც ახლა საქართველოში მიმდინარეობს.

განსხვავებული აზრის დევნას, ტერიტორიების გასხვისებას მეზობელ სახელმწიფოებზე, კორუფციის აყვავებას, დანაშაულის წახალისებას 2012 წლის პირველი ოქტომბრიდან სულ ჰქონდა ადგილი, მაგრამ 2019 წლის ივნისი-ივლისში ამ ყველაფერმა კულმინაციას მიაღწია.

– ამ ზაფხულს მართლა ძალიან აიჭრა ხელისუფლება. შარშან, საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის ფიასკოს შემდეგ კი დაგვპირდა ივანიშვილი, ერთ წელიწადში მოვაგვარებ ყველაფერსო და ვითომ ამას გვპირდებოდა?

– ივანიშვილი დაგვპირდა სულ სხვა რაღაცას, თქვა, რომ არსებულ პრობლემებს გამოასწორებდა. ამბობდა, რომ ამ წლების განმავლობაში შეცდომები დაუშვა. ძალიან არ მიყვარს, როცა ადამიანები დანაშაულს შეცდომას უწოდებენ.

„ოცნების“ მარჩენალმა ცნება დანაშაულიც კი გააუფასურა. იმის ნაცვლად, რომ დამნაშავეები დაესაჯა, რისთვისაც შვიდი წელი ჰქონდა, მან ეს დრო მათთან კოჰაბიტაციაში გაატარა და, როცა ხალხის ნდობა დაკარგა, მაშინ დაიწყო ნაციონალების ლანძღვა.

ხელისუფლების წარმომადგენლებმა ასევე გააუფასურეს პასუხისმგებლობის ცნებაც. ამ მხრივ კულმინაცია შს მინისტრ გიორგი გახარიას განცხადება იყო.

იგივე შეიძლება ითქვას ნაციონალებზეც. ისინიც გაიძახოდნენ, რომ ყველაფერზე იღებდნენ პასუხისმგებლობას, მაგრამ ეს აღებული პასუხისმგებლობა რაში გამოიხატა, ვერავინ ნახა.

ახლა გახარია გაიძახის, პასუხისმგებლობას ვიღებ 20 ივნისის დარბევაზეო. ეს არის უკვე მარაზმი – პასუხისმგებლობას თუ იღებ, ადექი და გადადექი. თანამდებობაზე დარჩენა და საკუთარი დანაშაულის გამოძიებაზე პირობის დადება ხალხის დაცინვაა და მეტი არაფერი.

შუშის სასახლის კადაფი ცდილობს, რომ ჩაახშოს თავისუფალი სიტყვა. მისი სურვილია, ხალხი ინფორმაციას მხოლოდ იმ არხებისგან იღებდეს, რომლებსაც ხელისუფლება აკონტროლებს. ასე იყო საბჭოთა კავშირში. „ოცნება“ სწორედ საბჭოთა კავშირში მიგვაქანებს.

– ვთქვათ და დახურა დამოუკიდებელი მედიასაშუალებები, ხალხს რას უზამს. ხალხი ხომ საკუთარ ტყავზე იგრძნობს მომატებული ფასების სიმძიმეს. გიჭირს თუ გილხინს, ამის გასარკვევად რა საჭიროა მედია?

– თავისუფალი სიტყვის ჩახშობით ხალხს აღქმის უნარს ვერ ჩაუხშობს, მაგრამ პროპაგანდა მაინც მუშაობს, თუმცა ამ პროპაგანდასაც აქვს თავისი საზღვრები. რაღაც ეტაპის შემდეგ ადამიანები, რაც არ უნდა დაუშო ალტერნატიული წყაროები, მაინც ახერხებენ სიმართლის გაგებას.

წარმოუდგენელია, ივანიშვილმა ხალხი დაიჯეროს, რომ ტარიფების ზრდა და ეროვნული ვალუტის გაუფასურება კარგია. ვერც იმაში დაარწმუნებენ ხალხს, რომ კუთხეების დატბორვა კარგია.

ასეთი რამეები ჰიტლერსა და გებელსს არ გაუვიდა და მით უმეტეს არ გაუვა შუშის კადაფს.

იმედია, ეს რეჟიმი იქამდე არ დაეცემა, რომ სოციალური ქსელები დაბლოკოს. სიმართლე რომ გითხრათ, ამის იმედი დიდად არ მაქვს.

– რატომ არ გაქვთ იმის იმედი, რომ ერთ დღეს ხელისუფლება სოციალურ ქსელებს არ დაბლოკავს?

– მამუკა ბახტაძე გვიმტკიცებდა, ჩვენ არ ვართ ის ხელისუფლება, რომელიც საკუთარ ხალხს არბევსო. ამ განცხადებიდან ზუსტად 5 წუთში დაიწყო დარბევა და ხალხს თვალები დასთხარეს.

სოციალურ ქსელებს მთლად ვერ აკრძალავენ, მაგრამ ძალიან მალე შეიძლება მიიღონ კანონი ხელისუფლების შეურაცხყოფის შესახებ და ადამიანები სოციალურ ქსელებში ხელისუფლების კრიტიკის გამო დაუპატიმრონ.

– თქვენი აზრით, ამ დონემდე დავეცემით?

– ეს ყველაფერი საზოგადოებაზე იქნება დამოკიდებული. ხალხი თუ მედგრად დაუდგება ხელისუფლებას, თავისუფალ ქვეყანაში ვიცხოვრებთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, აღმოვჩნდებით რუსეთში, სადაც დიდი სიჩქარით მიგვაქანებს ივანიშვილი.

– თქვენი აზრით, იბრძოლებს ხალხი იმისთვის, რომ საქართველო თავისუფალი ქვეყანა იყოს?

– მგონია, რომ იბრძოლებს. ბოლო დროს ამის არაერთი მაგალითი გამოჩნდა. ხალხმა სხვადასხვა საკითხში სერიოზული წინააღმდეგობა გაუწია ხელისუფლებას. 20 ივნისის ღამე მაფიქრებინებს, რომ ჩვენს მთავარ მონაპოვარს – თავისუფლებას ასე იოლად არ დავთმობთ.

ამ ქვეყნის თითოეულმა მოქალაქემ უნდა გაითავისოს, რომ სხვისი ხელით ნარის გლეჯა აღარ გამოვა. ყველამ უნდა იბრძოლოს ქვეყნის მომავლისთვის. ბრძოლის მოსაგებად ერთიანობა აუცილებელია.

როდესაც თემი ერთად დგება, იქ გამარჯვებაც მიიღწევა. ახლა განსაკუთრებით ერთიანები უნდა ვიყოთ, რადგან ოლიგარქის რეჟიმი ოპონენტების ღია დევნაზე გადავიდა. ეს ადამიანი ჩემთვის და საზოგადოებისთვისაც ნაკლებად მისაღები ფიგურაა, მაგრამ, მთავარი ისაა, რომ ის ხელისუფლების ოპონენტია და მხოლოდ ამიტომ დევნიან მას.

– მამუკა ხაზარაძეზე საუბრობთ?

– ხაზარაძეზე. მას თავისი ცოდვებიც მრავლად აქვს, მაგრამ, მხოლოდ იმის გამო, რომ შუშის კადაფის ოპონენტია და ანაკლიის პორტის პროექტს ახორციელებს, არ უნდა დაისაჯოს.

არც ის დაგვავიწყდეს, რომ მთელი ეს წლები ივანიშვილს ხაზარაძესთან მშვენიერი პოლიტიკური ურთიერთობები ჰქონდა. ჰქონდათ საბანკო ურთიერთობებიც და ორივე მათგანი, სხვა ბანკებთან ერთად, ჩვენს მოსახლეობას ძარცვავდა.

ახლა „ოცნების“ ლიდერს აღარ აწყობს ხაზარაძესთან ურთიერთობა, რაღაცები ვერ გაიყვეს და ამიტომაც გამოაცხადეს კრიმინალად.

მეც და ჩვენი პარტიას ხაზარაძის პოლიტიკაში შემოსვლას არ მივესალმებით, მაგრამ ვერც მის დაჩაგვრას დავუჭერთ მხარს. პოლიტიკური მოტივებით ნებისმიერი ადამიანის დევნა მიუღებელია.

მინდა, ყველამ იცოდეს, დღეს თუ პოლიტიკური მოტივებით ბანკირს დაიჭერენ, ხვალ მუშის ჯერი დადგება, ზეგ დამლაგებლის და ა.შ.

– თქვენი აზრით, თქვენი ნათლული – შუშის კადაფი, მუშებისა და დამლაგებლების დაკავებასაც დაიწყებს?

– ეს დამოკიდებული იქნება ჩვენზე. პოლიტიკური მოტივით არც ერთი ადამიანი არ უნდა დავაჭერინოთ. ერთხელ თუ გაუვიდა, მერე აღარ გაჩერდება და, საბოლოო ჯამში, ბოლშევიკურ საბჭოთა კავშირამდე მივალთ.

ამ წუთას ნამდვილად არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ ჩვენი გემოვნების მიხედვით ვიღაცებს არ დავუდგეთ გვერდით. მხედველობაში რეპრესიები მაქვს, თორემ ხაზარაძემ ნამდვილად უნდა აგოს პასუხი, მაგრამ, მას თუ ახლა დაიჭერენ, ეს იქნება პოლიტიკური დევნა და მეტი არაფერი.

ივანიშვილის სასამართლოს გამოტანილი განაჩენიც ვერ ჩაითვლება სამართლიანად. მურუსიძესა და მისნაირებს უვადო მოსამართლეებად რომ ნიშნავენ, პოლიტპატიმრებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება მაინც შეცვალონ.

საერთოდ, ქართული პოლიტიკა ორ დიდ პარადოქსს იცნობს. ერთი იყო სააკაშვილის დროს, მეორეს ადგილი აქვს ახლა.

2003 წელს ვარდების რევოლუცია იმ საბაბით მოხდა, რომ შევარდნაძის ხელისუფლებამ არჩევნები გააყალბა. არჩევნები მართლაც გაყალბდა, მაგრამ რევოლუციის შემდეგ შედეგების მხოლოდ ნაწილი გააუქმეს. მაჟორიტარული არჩევნების შედეგები ძალაში დატოვეს, პროპორციული კი გაუქმდა.

მეორე პარადოქსი 2012 წელს დაიწყო. ამ წლის ბოლოს ივანიშვილმა საოცნებო პარლამენტს პოლიტპატიმრებისა და პოლიტდევნილების სია მიაღებინა. ამ სიაში ყველა არ იყო პოლიტპატიმარი, მაგრამ 2/3 ნამდვილად პოლიტიკური მოტივით ჰყავდა სააკაშვილის რეჟიმს დაპატიმრებული.

მიაღებინა ივანიშვილმა პარლამენტს პოლიტპატიმრების სია და ის ხალხი, ვინც ამ ადამიანებს დევნიდა სამსახურებში, დატოვა, მათი საქმის მოსამართლეებისა და პროკურორების ნაწილი კი დააწინაურა. რამდენიმე მათგანი უვადო მოსამართლედაც კი დანიშნა. სერიოზულ პარადოქსთან გვაქვს საქმე. ამ ჯალათებს რომ აწინაურებენ, პოლიტპატიმრების სია მაინც გააუქმონ.

ამიტომ ვამბობ, რომ სხვისი ხელით ნარის გლეჯის დრო დამთავრდა. ყველა ჩვენგანმა უნდა იაქტიუროს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ძალიან მალე საქართველოსგან ან ჩრდილოეთ კორეას მივიღებთ, ან ენვერ ხოჯას დროინდელ ალბანეთს.

ხალხმა აქტიურად უნდა იბრძოლოს სოციალური მიმართულებითაც. ვრცელდება ინფორმაცია, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა შეიძლება 1 ლარი გახდეს. სატრანსპორტო კომპანიის მესმის, ლარი ისე გაუფასურდა, რომ იძულებული არიან, ფასები გაზარდონ, მაგრამ გაითვალისწინონ, რომ ცალ კარში თამაში არ შეიძლება. არ შეიძლება, ხალხს ყველაფერი გაუძვირო, მაგრამ პენსია არ გაზარდო.

არ შეიძლება, არ ვიფიქროთ შრომით უსაფრთხოებაზე. ამ თემაზე ყველა ინტერვიუში ვსაუბრობ, იმიტომ, რომ უკვე აუტანელია იმის ყურება, თუ როგორ იღუპებიან მუშები. კვირა ისე არ გავა, ასეთი ტრაგედიის მომსწრე არ გავხდეთ.

მუშები ასეთი არჩევანის წინაშე დგანან – ან შიმშილით უნდა დაიხოცონ, ანდა იმუშაონ და ყოველ წუთას სიკვდილს უყურონ თვალებში.

ძალიან სამწუხაროა, რომ შრომითი უსაფრთხოების დაცვის გამკაცრება პოლიტიკურ პარტიებს არ აინტერესებთ. ერთობლივი ძალებით რომ გვემოქმედა, შეიძლება, ახლა უკეთესობისკენ შეცვლილიყო ამ მხრივ ვითარება.

ასევე ყველა ინტერვიუში ვახსენებ დავითგარეჯს, რომელიც ოლიგარქმა ივანიშვილმა აზერბაიჯანელებს, ფაქტობრივად, აჩუქა. სამწუხაროა, რომ ეს უძველესი სამონასტრო კომპლექსი, ჩვენი პარტიის გარდა, არავის აღარ ადარდებს.

ვატყობ, მალე პოლიტიკურ რეპრესიებზეც მომიწევს ყველა ინტერვიუში საუბარი. აშკარაა, რომ შუშის კადაფიმ პოლიტიკური რეპრესიები დაიწყო.

ახლა საქართველოსთვის გადამწყვეტი მომენტი დადგა – ან ჩვენ გავუშვებთ ივანიშვილს ჯერ სახლში და შემდეგ ციხეში, ან ის გაგვიშვებს ყველას, ზოგს ციხეში, ზოგს ქვეყნიდან და ზოგს – სამარეში.

და კიდევ მინდა, ხაზარაძეზე ვთქვა რამდენიმე სიტყვა. მისთვის ბრალის წაყენება, ერთი მხრივ, რეპრესიაა კონკურენტი პოლიტიკური ჯგუფის მიმართ, მეორე მხრივ, პუტინის დავალების აღსრულებაა ანაკლიის პორტის პროექტის ჩაშლის მიზნით.

პოლიტდაპატიმრებები ჩვენი სტილი არაა, განაცხადა თურნავამ, როგორც თვალების დათხრამდე 5 წუთით ადრე ბახტაძემ თქვა რეზინის ტყვიებზე!

ასე რომ, ახლა მთლიანად ჩვენზეა დამოკიდებული, საქართველო ევროკავშირის წევრი სახელმწიფო გახდება თუ რუსეთის ფედერაციაში შემავალი გუბერნია.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ხაზარაძე შეცდა. მას შავი სამუშაო იატაკქვეშ უნდა ეწარმოებინა“

ვახტანგ ძაბირაძე: „ხმები „ოცნების“ გარდაცვალების შესახებ ცოტა გადაჭარბებულია“

ნათია ხურცილავა



პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ვახტანგ, მამუკა ხაზარაძისადმი ბრალდების წაყენება ფულის გათეთრების მოტივით რამდენად შეიძლება დაუკავშირდეს ორი კვირის წინ მის მიერ გაკეთებულ განცხადებას, რომ აფუძნებს საზოგადოებრივ მოძრაობას, საიდანაც პოლიტიკამდე მხოლოდ ერთი ნაბიჯია?

– სამწუხაროდ, ყველაზე რეალური მოტივი, რაც შეიძლება პროკურატურის ბრალდებაში წავიკითხოთ, სწორედ პოლიტიკურია. მე ვერ გეტყვით, მამუკა ხაზარაძემ იცოდა თუ არა, რომ მას ფულის გათეთრების მოტივით ბრალს წაუყენებდნენ და იმ განცხადით, რომელიც მან ორი კვირის წინ გააკეთა, პროცესებს დაასწრო, მაგრამ, ფაქტი ერთია, დღეს ყველას ფიქრი სწორედ აქამდე მივა, რომ მოტივი პოლიტიკური ხომ არ არის, იმდენად დაბალია ხელისუფლებისადმი ნდობა.

თავის დროზე, როდესაც ხაზარაძე-ჯაფარიძისადმი გაისმა ხელისუფლების პრეტენზიები, თითქოს მიზეზი ანაკლიის პროექტი იყო, რადგან ორივე „თიბისის“ ჩამოაშორეს და ფულის გათეთრების ამბავიც თითქოს თაროზე შემოიდო. მერე აღმოჩნდა, რომ ანაკლიის პროექტი თურმე ასეთი მარტივი არ ყოფილა, გახსოვთ, რა დიდი რეზონანსი გამოიწვია ქვეყნის შიგნით თუ გარეთ ამ პროექტმა.

– ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა გააკეთა განცხადება.

– სწორედ ამას ვგულისხმობ. სიმართლე გითხრათ, მე მეგონა, რომ ამ პროექტს ხაზარაძეს ჩამოაშორებდნენ და ამით ამოიწურებოდა ყველაფერი, მაგრამ ეს არცთუ მარტივი საქმე აღმოჩნდა, რადგან საგარეო ფაქტორები და ინტერესებიც აღმოჩნდა ანაკლიის პროექტში. თუმცა, ახლა ირკვევა, რომ პროცესი უფრო შორსმიმავალია. ერთი სიტყვით, ამ ყველაფერში აიხლართა ხელისუფლება.

– მაინც ხაზარაძის პოლიტიკურ განაცხადს უკავშირებთ ამ ყველაფერს?

– პროკურატურა 11 წლის წინანდელ ტრანზაქციაზე საუბრობს. ფულის გათეთრება ისეთი რაღაცაა, რა გითხრათ?! თუმცა, ნახეთ, რა ხდება, ამ ტრანზაქციაში რაღაც ფორმით ბიზნესმენი ჭუტა წერეთელი ფიგურირებს, რომელიც ტვ პირველთან არის დაკავშირებული. მე არ გამოვრიცხავ, რომ ხელისუფლება ერთი გასროლით რამდენიმე სამიზნის მოშორებას ცდილობდეს. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

– შეიძლება, ხაზარაძე დააკავონ?

– ეს იქნება დამოკიდებული საზოგადოებრივ რეაქციაზე, როგორი იქნება რეზონანსი. როგორც ანაკლიის პროექტის შემთხვევაში იყო ძალიან ხმამაღალი გამოხმაურება, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ, თუ ასეთი იქნება, მაშინ მამუკა ხაზარაძის დაკავება გაუჭირდებათ.

მამუკა ხაზარაძე ვიღაც არ არის. მას აქვს რეპუტაცია და ცნობადობა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარეთ. ამიტომ, არ გამოვრიცხავ, რომ პროკურატურის მოთხოვნის მიუხედავად, სასამართლომ აღკვეთის ღონისძიებად გირაო შეუფარდოს. თუმცა, მაინც მგონია, რომ ეს ყველაფერი საზოგადოებრივ რეაქციაზე იქნება დამოკიდებული.

მე მაინც მგონია, რომ მამუკა ხაზარაძემ ცოტა იჩქარა, როდესაც განცხადება გააკეთა. შავი სამუშაო მას იატაკქვეშ უნდა ეწარმოებინა და სექტემბერში გაეკეთებინა განცხადება, რომ პოლიტიკაში მიდის.

თავის დროზე, გახსოვთ, როგორ ჭკვიანურად მოიქცა ივანიშვილი. მისი წერილი და ნაბიჯი თითქმის ერთი იყო. ხაზარაძემ კი იჩქარა. ამიტომ, არც იმას გამოვრიცხავ, რომ ეს ყველაფერი იყოს ერთგვარი გაფრთხილება, ფსიქოლოგიური ზეწოლა.

– რა მოტივით, რომ პოლიტიკური განაცხადი არ გააკეთოს?

– რა თქმა უნდა! არ ვიცი, რამდენად ძლიერი პიროვნებაა მამუკა ხაზარაძე, გაუძლებს თუ არა ის ამ ზეწოლას და რა გადაწყვეტილებას მიიღებს, მაგრამ, რასაკვირველია, დაფიქრდება.

არც იმას გამოვრიცხავ, რომ საერთოდ ქვეყანა დატოვოს და უარი თქვას პოლიტიკაზე.

ეს ყველაფერი მის პიროვნებასა და სიძლიერეზე იქნება დამოკიდებული. არაერთი ბიზნესმენი შემიძლია დაგისახელოთ, მაგალითად, ბადრი პატარკაციშვილი, ზაზა ოქუაშვილი, რომლებმაც ქვეყანა დატოვეს. გახსოვთ, ბადრი პატარკაციშვილის ირგვლივ როგორ ვითარდებოდა მოვლენები.

– სააკაშვილი პატარკაციშვილში კონკურენტს ხედავდა.

– როგორც ჩანს, ხელისუფლება ახლა ხაზარაძეში ხედავს კონკურენტს.

– გიგი უგულავამ თქვა, რომ „ქართულ ოცნებას“ შანსი არ აქვს 50% მარტო მოაგროვოს და ჯერჯერობით არც არავინ ჩანს, ვინც მასთან კოალიციას შექმნის, გარდა პრორუსული ძალებისა. ამიტომ დაიწყო პოლიტიკური ველის მოსუფთავება. მესამე ძალის შექმნის შანსი აქვს ან ჰქონდა ხაზარაძეს?

– ოპოზიცია უშვებს ზუსტად იმავე შეცდომებს, რომლებსაც უშვებს ხელისუფლება.

– კონკრეტულად?

– ისევე ჩქარობს, ისევე დარწმუნებულია საკუთარ თავში, როგორც ხელისუფლება, ისევე დგამს გაუთვლელ ნაბიჯებს, როგორც ხელისუფლება.

ძალიან ადრე ხომ არ არის იმაზე საუბარი, რომ ხელისუფლება უმრავლესობას ვერ მიიღებს?! რა გააკეთა თავად ოპოზიციამ ამისთვის?! თუ ისევ მარტო დარჩებიან პოლიტიკურ ველზე „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა, მაშინ, მერწმუნეთ, რომ „ქართული ოცნება“ მოიგებს არჩევნებს.

როგორც ჩანს, ბიძინა ივანიშვილმა გადაწყვიტა, კვლავ იმავე ტაქტიკით იმოქმედოს.

– რამდენად გაამართლებს იგივე ტაქტიკა?

– თუ არაფერს შეცვლის ოპოზიცია, რა თქმა უნდა, გაამართლებს. ნაციონალურ მოძრაობასაც ძალიან აწყობს, რომ იმავე ტაქტიკით იმოქმედოს „ოცნებამ“. აწყობს იმიტომ, რომ პოლიტიკურ ველზე მხოლოდ თვითონ არიან. სხვა აქტორის, ძლიერი აქტორის შემოშვება არც ერთს არ აწყობს – არც ივანიშვილს და არც სააკაშვილს. ეს არის რეალობა.

რა სტრატეგია აქვს დღეს ოპოზიციას, აქვს კი სამოქმედო გეგმა გაწერილი?! ხომ გახსოვთ, რაც მოხდა საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურზე. ზუსტად ასე მოხდება, თუ არაფერს შეცვლის ოპოზიცია.

თქვენ მკითხეთ, დაიწყო თუ არა ივანიშვილმა პოლიტიკური ველის მოსუფთავება. აქ ორი აზრი შეიძლება არსებობდეს?! რა თქმა უნდა, ივანიშვილს აწყობს მარტო დარჩენა! მარტო, ცხადია, ვერ დარჩება, ამიტომ აწყობს ნაციონალურ მოძრაობასთან ერთად ყველაზე მეტად. იცის, რომ ნაციონალურ მოძრაობასთან კონკურენცია ყველაზე მარტივია.

– თუმცა, საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში ლამის ნაციონალებმა მოიგეს.

– გასაგებია, მაგრამ სხვა ახალი ძალა კიდევ უფრო დიდი საფრთხის მატარებელია „ქართული ოცნებისთვის“ და ეს კარგად იცის ივანიშვილმა.

– თუ ასეა, მაშინ საარჩევნო სისტემის შეცვლა და ნულოვანი ბარიერის შეთავაზება როგორ გავიგოთ?

– და უკვე შეიცვალა საარჩევნო სისტემა?! უკვე გატარდა ეს საკონსტიტუციო ცვლილება?! არც იმას გამოვრიცხავ, რომ საშემოდგომო სესიაზე, როდესაც საქმე საქმეზე მიდგება, „ქართულმა ოცნებამ“ გამოაცხადოს, ხმებს ვერ ვაგროვებთო.

სიმართლე გითხრათ, არც ის გამიკვირდება, რომ „ბეჯითი“ მაჟორიტარების გვერდით ნაციონალური მოძრაობაც აღმოჩნდეს, რომელიც ამ საკონსტიტუციო ცვლილებების წინააღმდეგი იქნება.

ამიტომ ოპოზიციას ურჩევნია, დაფიქრდეს და კარგად გაიაზროს, რა ურჩევნია. ოპოზიციას კარგად არ აქვს გააზრებული, რომ დღეს არჩევანის წინაშე დგას: გახარია თუ საარჩევნო სისტემა ნულოვანი ბარიერით.

– თქვენ ამბობთ, რომ ოპოზიცია ასეთი არჩევანის წინაშე დგას?

– დიახ, დიახ! ქვეცნობიერად ასეთია არჩევანი, მაგრამ ეს არ აქვს ოპოზიციას გააზრებული.

რუსთაველზე განვითარებული მოვლენები მართლაც იყო წყალგამყოფი და სულაც არ გამიჭირდება იმის თქმა, რომ დიახ, გახარია უნდა გადადგეს, მაგრამ დღეს ოპოზიცია არჩევანის წინაშე დგას.

ეს არჩევანი მას ივანიშვილმა ქვეცნობიერად შესთავაზა. ახლა არჩევანი მათ უნდა გააკეთონ. ეს არჩევანი სტრატეგიული მნიშვნელობის არის – წავიდეს გახარია და მოვიდეს გახარია ორი თუ რეალურად მოხდეს საარჩევნო სისტემის შეცვლა.

ამას ვამბობ იმიტომ, რომ ხმები „ოცნების“ გარდაცვალების შესახებ ცოტა გადაჭარბებულია.

მამუკა გამყრელიძე: „ერთადერთი გამოსავალი მთელი პოლიტიკური სპექტრის შეცვლაა“

ნონა ცაბაძე



„ახალი თაობის“ კითხვებს ყოფილი დიპლომატი, გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი მამუკა გამყრელიძე პასუხობს.

– 2020 წელს ერთ-ერთი ურთულესი არჩევნები იქნება. რამდენად იქნება სერიოზული ცვლილებების მომტანი?

– ერთადერთი გამოსავალი არის მთელი პოლიტიკური სპექტრის შეცვლა ისეთი ადამიანებით, რომელთა მიმართ საზოგადოებას აქვს ნდობა. ასეთი აქციები, რომლებიც არაფრისმომტანია და პირიქით, იწვევს სამოქალაქო აქტივისტების დისკრედიტაციას, ასეთი სახით არ მოხდება პოლიტიკური სპექტრის შეცვლა.

– აბა როგორ მოხდება?

– მე ველოდებოდი, რომ ამ აქტივისტებიდან გამოჩნდებოდნენ ახალი პოლიტიკური ლიდერები. მაგალითად, დავით ბერძენიშვილის შვილი გამოჩნდა, კიდევ ვიღაც, მაგრამ მათ ვერ მოახერხეს ვერაფრის გაკეთება. საზოგადოება მათ მიმართაც გახდება ნიჰილისტურად განწყობილი, შესაბამისად, ეს ხალხიც დაიკარგება ანუ სიახლე არაფერი გვექნება, ისევ დარჩება ძველი პოლიტიკური სპექტრი, რომელსაც ახასიათებს დრეკადი მიდგომა ხელისუფლებასთან და კომპრომისების ძებნა.

– ყველა ოპონენტს ასე გაუსწორდება ივანიშვილი, როგორც ხაზარაძეს?

– არა, რატომ. ხომ იცით, ორი მეთოდია – კვერი და მათრახი. ზოგს მათრახით მიუდგება, ზოგს კვერით. რეალურად მას ხელში უჭირავს მთელი ძალაუფლება. ძალიან მარტივად მართავს ამ ქვეყანას. მას აქვს ძალიან დიდი, საქართველოსთვის განუზომლად დიდი ფინანსური რესურსი, რომლის გამოყენება შეუძლია ძალიან მარტივად.

მას ჰყავს ძალიან კარგად გაწვრთნილი სამართალდამცავი ორგანოები, რომლებიც წინა ხელისუფლებამ სისტემურად ჩამოუყალიბა. ბიძინაც შესანიშნავად იყენებს ამ ყველაფერს.

– რა გამოდის, რომ ვერავინ შეძლებს მის დამარცხებას?

ეკა ბესელიამ გადააცემინა რუსეთისთვის ქართველი სამხედროები და დაზვერვის ხალხი. მე ასეთ ხალხთან რანაირად უნდა ვიურთიერთო?! ახლა შეიცვალა გონება? ახლა აღარ მოსწონს ივანიშვილი? როგორ დავუჯერო მას?!

– ერთადერთი, რაც მას შეიძლება შეეწინააღმდეგოს, არის ხალხის განწყობა, ხალხის ძალა, ხალხის სიძულვილი. მე დღეს იმასაც ვერ ვხედავ, რომ ადგეს და გამოვიდეს დიდი რაოდენობით ხალხი, თუნდაც მოხდეს ის პროცესები, რომლებიც სლოვაკიაში მოხდა, სადაც 200 ათასი კაცი გამოვიდა.

გამოდის რაღაცა ჯგუფი მუდმივად, ის ჯგუფი დადის, ზოგი მართლა გულანთებული ადამიანი, ზოგი – დაზარალებული.

– თუმცა ყველანაირად ცდილობენ, მათი მარგინალიზაცია მოახდინონ და ახერხებენ კიდეც.

– რა თქმა უნდა, ახერხებენ. არ მჯერა მე ხალხის შემოტრიალების, არანაირად არ მჯერა. ეკა ბესელიას როგორ დავუჯერო?! ეკა ბესელია ადგა და გარეთ გამოყარა, თუ ვინმე კრიმინალი იყო, ყოველგვარი სოციალიზაციის გარეშე, გამოყარა ქუჩაში და რა სიტუაცია მივიღეთ, ხედავთ.

ეკა ბესელიამ გადააცემინა რუსეთისთვის ქართველი სამხედროები და დაზვერვის ხალხი. მე ასეთ ხალხთან რანაირად უნდა ვიურთიერთო?! ახლა შეიცვალა გონება? ახლა აღარ მოსწონს ივანიშვილი? როგორ დავუჯერო მას?!

სანდრა რულოვსს რომ ეუბნები, არ გამოხვიდე იმიტომ, რომ მიშა სააკაშვილის ცოლი ხარო და ეკა ბესელიას იღებ, აქ კითხვები უკვე აღარ მაქვს. ეს არის ჩვეულებრივი ქოცური მიდგომა. აი, შენ არა და შენ – კი.

მარგველაშვილი, რომელსაც საერთოდ არაფერი გაუკეთებია, ახლა გამოდის რუსთაველზე და ჭკუას მასწავლის.

მე ვერ ვხედავ რეალურ განწყობას, რომ ხელისუფლება შეიცვალოს და, თუ ამ ხალხს არ უნდა ხელისუფლების შეცვლა, კი ბატონო.

– ამ ბოლო გამოსვლებს მამუკა ხაზარაძე აფინანსებდაო და ეს მომენტიც ხომ არ ჰქონდა ხელისუფლებას გულში ჩადებული?

– შეიძლება, რატომაც არა. ამ ყველაფერს ფინანსური რესურსები სჭირდება. დღეს კი ფინანსური რესურსები ერთ ხელშია შეკრებილი. მაშინ, სააკაშვილის დროს, ნამდვილად არ იყო ასე, იმიტომ, რომ იმ დროს იყო ძალიან მდიდარი ხალხიც. ახლაც ძალიან ბევრი მდიდარი ადამიანია, მაგრამ ყველა ივანიშვილის მომხრე და მხარდამჭერია.

– ანუ ივანიშვილი ვისაც ვერ აკონტროლებს, მისი განეიტრალება გადაწყვიტა?

– ალბათ ასეა.

– გამოვა ვაჭრობა ხაზარაძესთან?

– რატომ არ გამოვა? არის ხაზარაძე ის ტიპაჟი, რომელიც ჩე გევარასავით შევარდება, ან თუნდაც ნელსონ მანდელასავით 40 წელი იჯდება ციხეში?! თქვენ წარმოგიდგენიათ, რომ ხაზარაძე ეგეთი ტიპაჟია?! გამოვა ის ამ კომფორტის ზონიდან?!

კარგ ცხოვრებას რომ მიეჩვევი, მერე ძალიან რთულია. მაშინ იდეური უნდა იყო და ასეთი იდეური ერთი-ორი კაცია დედამიწის ზურგზე.

სოსო ცინცაძე: „ოქრუაშვილმა ქართულ პოლიტიკაში ცუნამის როლი შეასრულა“

იაგო ნაცვლიშვილი

„ოქრუაშვილს ეყო სარისკო გამბედაობა და სიმართლე თქვა, რა არის ქართული პოლიტიკა“

ირაკლი ოქრუაშვილმა კიდევ ერთხელ თქვა, რომ 2016 წელს მისი დაჭრის პროცესში კახა კალაძე ფიგურირებდა. ამ თემაზე ჟურნალისტებმა მოსაზრება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთ ლიდერ გია ვოლსკის ჰკითხეს, რომელმაც თქვა, რომ ახლა კალაძეც გამოვა და იტყვის, რომ კალაძეს ოქრუაშვილი უპირებდა მოკვლას და მარსიანელები იყვნენ ჩართულები. ვოლსკის ორი ვერსია აქვს ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებების გააქტიურებისას: ერთი – ეს არის ის, რომ ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური ვალი აქვს და ამიტომ იყო, როცა 2007 წელს ჯერ დაიჭირეს და მერე უცხოეთში გაგზავნეს, ხოლო მეორე ვერსია შეიძლება იყოს ის, რომ მას დაჭერის საფრთხე ემუქრება და ამიტომ ცდილობს, თავისი განცხადებებით ეს აირიდოს თავიდან.

ვოლსკის ვერსიებზე, ირაკლი ოქრუაშვილის სკანდალურ განცხადებებსა და სხვა საინტერესო საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე საუბრობს.

– როგორ აფასებთ გია ვოლსკის განცხადებას, რომელმაც უკვე მერამდენედ გაგვაოცა?

– ვოლსკის განცხადებებზე კომენტარი როგორ შეიძლება გაკეთდეს?! ვოლსკი მმართველი პარტიის მეორედ მოსული უმრავლესობის ლიდერია. ერთხელ იყო, მერე გადააყენეს და ისევ მოვიდა. ჩემი პირადი აზრი ასეთია, უმრავლესობაში რეიტინგი რომ ჩატარდეს, ვინ არის ბუნებრივად ჭკვიანი, მე არ ვსაუბრობ პოლიტოლოგიაში განათლებულ ფიგურაზე და ა.შ. არამედ ჭკვიან ადამიანზე, მე მგონი,ასეთი კონკურსის ერთ-ერთი პირველი პრეტენდენტი ვოლსკი იქნებოდა. მე ის ჭკვიან ადამიანად მიმაჩნია და, ბუნებრივია, ეს ადამიანი ხედავს თავის აშკარა ინტელექტუალურ უპირატესობას კოლეგებთან შედარებით. ვოლსკი როდესაც მეორედ მოვიდა უმრავლესობაში, ის ოპოზიციის მხრიდანაც ელიტაა. ამიტომ ვოლსკის განცხადებები სერიოზული კრიტიკის ქვეშ უნდა გავატაროთ, მით უფრო იმ ფონზე, როდესაც ვერც ვოლსკი დაამტკიცებს თავისი გამონათქვამების სიმართლეს, ვერც კალაძე და ვერც ოქრუაშვილი. სიტყვიერად დაჯერება რთულია.

ჩემთვის საინტერესო, იცით, რა არის? როგორც ოკეანეა წყნარი და მოლივლივე და უცებ პატარა ნიავის შემდეგ არის 9-ბალიანი შტორმი და ცუნამი. აი, ასეთი ცუნამის როლი შეასრულა ირაკლი ოქრუაშვილმა ქართულ პოლიტიკაში. რამდენიმე გამოსვლა ჰქონდა ტელეარხებზე და დიდი ტურბულენტური ძვრები გამოიწვია მისმა გამონათქვამებმა. მან პირდაპირ ჩამოხსნა პოლიტიკას ნიღაბი თავისი უარყოფითი მხარეებით, სიბინძურითა და სიკაშკაშით.

– იმ განცხადებას გულისხმობთ, როდესაც სოსისს შეადარა ქართული პოლიტიკა და თქვა, რომ იცოდეთ მისი შემადგენელი ელემენტები, არავინ აღარ დაინტერესდებაო?

– კი. მან თქვა, რომ ეს მუდამ იყო, არის და იქნება. ამას სათანადო რეაქცია მოჰყვა ინგა გრიგოლიას მხრიდანაც, დათო უსუფაშვილის მხრიდანაც და ეკა კვესიტაძის მხრიდანაც. პოლიტიკოსებმა იციან, რა არის პოლიტიკა, მაგრამ, როდესაც ეს სიმართლე თქვა ვიღაცამ, ყველამ თეთრი ხელთათმანები ჩაიცვა და ხელები გაასავსავეს, ჩვენ ასეთ პოლიტიკასთან რა კავშირი გვაქვსო. ოქრუაშვილმა მაგათ სიმართლე უთხრა.

– აქედან გამომდინარეობს ვოლსკის შეფასებაც, რაც მან ოქრუაშვილზე თქვა?

– მე მგონი, უამისობაც არ არის. ოქრუაშვილს ეყო სარისკო გამბედაობა, რომ სიმართლე ეთქვა. არის სიმართლე, რომლის თქმასაც ყველა ერიდება. ირაკლიმ პირდაპირ თქვა, რა არის პოლიტიკა. ვიღაცები ამბობენ, რომ ეს არის რუსული პოლიტიკა, სააკაშვილის პოლიტიკა და ა.შ. ევროპული პოლიტიკა სულ სხვაა და ამერიკული ცივილიზებული პოლიტიკა – სულ სხვა. არავითარ შემთხვევაში, პოლიტიკა ევროპაშიც ისეთია, როგორიც საქართველოში. მაგრამ განსხვავება, რაც სურათს დიამეტრულად ცვლის, იმაშია, რომ როდესაც პრესა და სამოქალაქო საზოგადოება ნიღაბს ჩამოხსნის ბინძურ რაღაცებს, ამას რეაგირება მოჰყვება. ის პოლიტიკოსებიც კი, რომლებიც ხელუხლებელი ქალწულის როლში არიან, იძულებული არიან, გადამწყვეტი ზომები მიიღონ. ჩვენთან მოჰყვება ასე, რომ თეთრია, ოქრუაშვილმა კი დაანახა საზოგადოებას, რომ შავია.

– რას მოუტანს ეს განცხადებები ირაკლი ოქრუაშვილს?

– მაგიტომ გეუბნებით, რომ სარისკოა. მაგრამ ოქრუაშვილმა თავისი მისია უკვე შეასრულა. არჩევნებში მან ელექტორალურ წარმატებას რომ ვერ მიაღწიოს, მისი ღირსება ის არის, რომ სიმართლე თქვა და პოლიტიკოსებს უთხრა, ნუ კეკლუცობთ და ნუ იპრანჭებითო.

– ისიც ვთქვათ, რომ მის განცხადებებს, თითქოს „ვარდების რევოლუცია“ მისი დაფინანსებულია და ა.შ. დიდი გამოხმაურება მოჰყვა, იუმორის მიზეზი გახდა სოციალურ ქსელებში და ა.შ. სხვათა შორის, თვითონაც იუმორით გამოეხმაურა და თქვა, ხეოფსის პირამიდაც ჩემი აშენებულიაო.

– ასეთი უკბილო ანგლობა უამრავი იქნება. როგორი რეაგირება უნდა ჰქონდეს, ეს უკვე მისი პირადი საქმეა. ჩემთვის, ადამიანისთვის, რომელსაც თანამედროვე პოლიტიკოსებთან შედარებით პოლიტიკისა და პოლიტოლოგიის შესახებ 2 წიგნით მეტი მაქვს წაკითხული, მისი განცხადებები სიახლე იყო. გამოჩნდა ადამიანი, რომელმაც თქვა სიმართლე, რა არის პოლიტიკა. პოლიტიკა არ არის წმინდა მამების საქმე.

– ირაკლი ოქრუაშვილის 2-3-დღიან ხმაურიან განცხადებებში სიმართლე უფრო დაინახეთ, ვიდრე პოლიტიკური თამაშები? არის მის პოლიტიკურ თამაშებზეც საუბარი, ოღონდ ვისი თამაშია, ჯერ არავინ იცის.

– მე თამაშს არ ვიტყოდი, მაგრამ პოლიტიკური თამაში აქვს ყველას. ამ სცენარს გინდ თამაში დაარქვით, გინდ კეკლუცობა ან, რაც გინდათ, ის. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ჩვენთან ნამდვილი პოლიტიკური კლასი ვერასდროს ჩამოყალიბდება, რომ შესაბამის სიტუაციაში ადეკვატური იყოს. ადეკვატური უნდა იყოს მმართველი პარტია, როდესაც მას ეუბნებიან, რომ საპრეზიდენტო არჩევნების დროს ქალები პირდაპირ ყრიდნენ ბიულეტენებს. ეს საქმე შემოდებულია თაროზე და მიმდინარეობს ძიება. ვიღაცას უნდა ეყოს გამბედაობა და თქვას, რომ ეს არ არის ადეკვატური. კი, ყველა აკეთებდა ამას, სააკაშვილიც, შევარდნაძეც, მაგრამ ჩვენი განსხვავება ის იყოს, რომ, თუ ეს გახმაურდება, მივიღოთ ადეკვატური ზომები და დამნაშავეები დავსაჯოთო. ეს უნდა თქვან. რამდენადაც ვიცი, ის ადამიანები, რომლებიც ყრიდნენ, დღესაც თანამდებობებზე არიან.

– სამაგიეროდ, მამუკა ხაზარაძესა და ბადრი ჯაფარიძეს ბრალი წარუდგინეს. ჩანს თუ არა პოლიტიკური კონტექსტი?

– ეს არის შერჩევითობა. სამართლიანობის აღდგენისთვის 40 საუკუნეა იბრძვის კაცობრიობა, მაგრამ ეს პრაქტიკულად შეუძლებელია. თუ ამაზე ვლაპარაკობთ, მაშინ იქიდან უნდა ამოვიდეთ, რომ, მაგალითად, როდესაც პოლიტიკოსი შედის პარლამენტში, უცბად მდიდრდება და ამას არავინ იძიებს, ეს უკვე შერჩევითი სამართალია.

ის ფაქტი, რომ ხაზარაძის თემაში საზოგადოება და შეიძლება მეც ვხედავთ პოლიტიკურ მოტივაციას, ეს უკვე უნდობლობაზე მიანიშნებს. როდესაც ხალხს, რიგით ამომრჩეველს, რომელსაც არ აქვს პრეტენზია, იყოს დეპუტატი, მინისტრი, შავი მანქანა ემსახურებოდეს, როცა ასეთი ადამიანები ტოტალურად სასამართლოს, პროკურატურას, მათ მიერ არჩეულ ხალხს არ ენდობიან, მაშინ ხელისუფლების მხრიდან ყოველი ასეთი ნაბიჯი რეფლექტურად იწვევს ეჭვს. ეს თქვა ზუსტად ოქრუაშვილმა, რომ პოლიტიკა არ არის კეთილშობილ ქალთა გიმნაზიის საქმე. თუ თქვენ გინდათ სიწმინდე და სისუფთავე, წადით დავითგარეჯში და, მამები რომ ცხოვრობენ, რომლებიც ყოველდღე იბრძვიან თავიანთი იდეებისა და რწმენისათვის, მაშინ იმათ ამოუდექით გვერდშიო. დღე არ გავა, რომ მსოფლიოში ბრალი არ წარუდგინონ მოქმედ მინისტრს, პარლამენტარსა თუ მოქმედ პრეზიდენტებსაც კი. ჩვენთან კი, სადაც ასეთი უნდობლობაა, სხვანაირად ხდება.

მე იურისტი არ ვარ და, რომც ვიყო იურისტი, თუ საქმის მასალებს არ ვიცნობ, ვერ ვიტყოდი, სწორია თუ არ არის სწორი ხაზარაძისა და ჯაფარიძისთვის ბრალის წაყენება, მაგრამ რეფლექტურად მიჩნდება ეჭვი. ეს ეჭვი ჩვენს ხალხს არც დაბადებიდან დაჰყოლია და არც გენეტიკური კოდია. ეს არის ცხოვრებისეული გამოცდილება. დანაშაული სულ მოხდება, მაგრამ, თუ ნდობა არ იქნება, მაშინ, რასაკვირველია, ისე ვიტრიალებთ სულ, როგორც ციყვი ბორბალში. ეს თქვა ოქრუაშვილმა, რომელიც ზერელე ადამიანის შთაბეჭდილებას არ ტოვებს და ალბათ შეგნებული აქვს, რომ სერიოზულ რისკზე მიდის, თუ გნებავთ, იმიჯურ რისკზე. რამდენიმეჯერ გაახსენეს წამყვანებმა, რომ მას უფრო უარყოფითი იმიჯი აქვს, ვიდრე დადებითი.

– მისი შესაძლო დაკავების რისკსაც ხომ არ ხედავთ?

– დაკავება ერთია, მაგრამ ოქრუაშვილი ყოველთვის მაღალპროფესიონალი იურისტი და ადვოკატი არ იყო. ვიმეორებ, მასთან არც მეგობრობა და არც ნაცნობობა არ მაკავშირებს, უფრო მეტიც, არც კი შევხვედრივარ, მაგრამ მახსოვს, შევარდნაძის პერიოდში ის იყო ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული ადვოკატი, რომელიც იხილავდა საქმეებს და ჰონორარები ხშირად ხუთნიშნა იყო. ასეთი კვალიფიკაციის იურისტს ეს ყველაფერი გაცნობიერებული რომ არ ჰქონდეს, ჩემთვის წარმოუდგენელია.

ვინც მის გვერდით დგანან – გუბაზი და სხვები, მათ მეტის თქმა შეეძლებათ, მაგრამ მე, როგორც დისტანციურ მაყურებელს, ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა და ეს ჩემთვის მოულოდნელიც კი იყო, რადგან ასეთი გულახდილი განცხადებებით არ ვართ გათამამებული. როდესაც ჩვენს პოლიტიკოსებს ვუსმენ, წინასწარ ვიცი, რა იქნება მათი შემდეგი ფრაზა, იქნება ეს ოპოზიციიდან თუ პოზიციიდან. თუ გნებავთ, მე და თქვენ ჩავატაროთ ექსპერიმენტი და დავნაძლევდეთ. მათ თქვან პირველი ფრაზა და მე თქვენ გეტყვით, რას იტყვიან შემდეგ ფრაზებს ისინი.

– საინტერესო ექსპერიმენტს მთავაზობთ.

– ასეა ეს და ვიცი, რომ თქვენც იცით, რას იტყვიან. უკვე სტანდარტული, ობმოკიდებული ლექსიკა აქვთ მათ. ირაკლი ოქრუაშვილმა კი ცუნამის სახით იმოქმედა ჩვენს პოლიტიკაზე. გაოცებული იყო ინგა გრიგოლია და ეკითხებოდა, ეს რა პოლიტიკაა და მორალი და ზნეობა სად არისო. ჩვენი მიზანი ის კი არ უნდა იყოს, რომ ყველა პოლიტიკოსი ანგელოზი იყოს და ქრთამს არავინ იღებდეს, ყველგან იღებენ ქრთამს, მაგრამ ქრთამის გამო ყველას ერთნაირი სასჯელი უნდა ჰქონდეს და არა ისე, როგორც ფრანკომ თქვა: „ჩვენს მეგობრებს ყველაფერი კარგი და დანარჩენებს მხოლოდ კანონი“.

რაც შეეხება ირაკლი ოქრუაშვილის პოლიტიკურ მომავალს, დღეს ის ძნელი სათქმელია, იმიტომ, რომ დღეს ნოსტრადამუსიც რომ გააცოცხლოთ თავისი ბისმარკებითა და რიშელიებით, ისინიც ვერ იტყვიან, რა მოჰყვება ამ ახალ არჩევნებს, რასაკვირველია, თუ პროპორციულად ჩატარდა და მაჟორიტარული სისტემა ერთხელ და სამუდამოდ დასაფლავდა, რაშიც ეჭვი მეპარება.

– რატომ?

– არა მგონია, რომ მაჟორიტარებმა ასე ადვილად დათმონ თავიანთი პოზიცია. არც იმის მჯერა, რომ ისინი არ ცდილობენ, დაარწმუნონ ივანიშვილი და სხვა ლიდერები, რომ ისინი არიან „ოცნების“ საყრდენები და დედაბოძები. ასეთი რაღაცები იქნება, მაგრამ, მეორე მხრივ, ძნელია, კიდევ ერთი პირობა არ შესრულდეს, იმიტომ, რომ ბევრი შეუსრულებელი პირობა ვნახეთ, შევარდნაძის დროიდან დაწყებული. პირველი ასეთი შეუსრულებელი პირობა იყო შევარდნაძის დაპირება, ჩვენ ომს ღირსებით დავამთავრებთო. მაგის შემდეგ არც ერთი ფუნდამენტური პირობა არ შესრულდა. თუ ახლა მაინც შესრულდა და იმ დროს, როცა „ოცნებას“ ცოტა დრო რჩება პრევენციისთვის, რომ პარლამენტში უმრავლესობა არ დატოვოს, ამიტომ, ამ ვითარებაში როგორი იქნება ოქრუაშვილის პოლიტიკური მომავალი, ვერ ვიტყვი, ან ჩემზე ჭკვიანი ნახეთ ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად.

დავით ჭიჭინაძე: „იგივე ბრალი, რომელიც მამუკა ხაზარაძეს აქვს წაყენებული, შეუძლიათ, ნათია თურნავას წაუყენონ“

– რაც მამუკა ხაზარაძეს აქვს ბრალად წაყენებული, იგივე წარმატებით შეუძლიათ, საკუთარ მინისტრ ნათია თურნავას წაუყენონ.

ამის შესახებ პარლამენტის დამოუკიდებელმა დეპუტატმა დავით ჭიჭინაძემ განაცხადა.

ის გამოეხმაურა „თიბისი ბანკის“ დამფუძნებლის მამუკა ხაზარაძისთვის ბრალის წარდგენას და აღნიშნა, რომ ხელისუფლებასთან კითხვები აქვს.

– მე ხელისუფლების მიმართ მექნება კითხვები. რაც მამუკა ხაზარაძეს აქვს ბრალად წაყენებული, იგივე წარმატებით შეუძლიათ საკუთარ მინისტრს, ნათია თურნავას წაუყენონ, მით უმეტეს, რომ ანალოგიური სქემებია იქაც. თან, ეს საქმე დიდი ხნის წინაა დაწყებული და ჩვენებებიცაა მიცემული, სადაც ჩანს, რომ 2012 წლამდე, ძალიან ბევრ ისეთ საქმეშია ბრალდებული, რასაც ხელმძღვანელობდა თურნავა და მისი გუნდი. მათი საქმე კი, ვინც თავს დაზარალებულად ცნობს, წინ არ წაწეულა, ანუ, არ შეიძლება შერჩევითი სამართალი. თუ ხაზარაძე დამნაშავეა, იგივე დანაშაულის ჩამდენია თურნავა და არა „წარმატებული“ მინისტრი და ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის „აღმშენებელი“, როგორადაც ახლა გვიხატავენ. როგორც აშენეს ეკონომიკა, ჩანს – ერთი დოლარი 2,91 ლარს აჭარბებს! ხელისუფლება უფრო პასუხისმგებლობით უნდა მიუდგეს, როდესაც ასეთ ხმაურიან განცხადებებს აკეთებს, მით უმეტეს, რომ ექვსი თვე გავიდა იმ პირველი განაცხადებიდან დღემდე. როგორც ვიცი, არანაირი ახალი გარემოება არ გამოკვეთილა და თუ ასეთი მძიმე დანაშაულია, პროკურატურას ცოტა უფრო სერიოზულად უნდა ემუშავა, – განაცხადა ჭიჭინაძემ.

მან გაიხსენა ნიკა მელიასთან დაკავშირებული მოვლენები და აღნიშნა, რომ მის შემთხვევაში, 93 დეპუტატმა უპასუხისმგებლოდ დაუჭირა მხარი მელიას პატიმრობას, რაც მოგვიანებით სასამართლომ არ გაითვალისწინა, შესაბამისად, ამჯერადაც სასამართლოსთვის დალოდებაა საჭირო.

– მელიას შემთხვევაში ფინალში გამოვიდა, რომ მურუსიძის სასამართლო უფრო „სულგრძელი“ აღმოჩნდა და გამჭრიახი, ვიდრე მთელი ჩვენი პარლამენტი. ამიტომ, დაველოდოთ, გაიზიარებს თუ არა სასამართლო პროკურატურის ბრალდებას, – აღნიშნა დეპუტატმა.

ჭიჭინაძემ ასევე ისაუბრა თავად მამუკა ხაზარაძის შესახებ.

– რაც შეეხება პირადად ხაზარაძეს, როდესაც მან პოლიტიკაში მოსვლაზე გააკეთა განაცხადი, მაშინვე ვთქვი, რომ მას თავისუფალი საქართველო ნაკლებად ადარდებს და მხოლოდ საკუთარი ფინანსების, საკუთარი ფულის დასაცავად უნდა პოლიტიკაში მოსვლა. თავისუფალი საქართველო იწყება თავისუფალი საზოგადოებით და არა ვალიანი და დამონებული ადამიანებით, რაშიც ლომის წილი, სხვათაშორის, ხაზარაძესაც მიუძღვის. სწორედ ხაზარაძის დამსახურებითაა ძალიან ბევრი ადამიანი უსახლკაროდ დარჩენილი, ბიზნესდაკარგული. ბევრიც, მართალია ნაცების დროს, მაგრამ ციხეშიც მოხვდა. მათი სახელები კი ყველასთვის ცნობილია. ისიც საინტერესოა, დაგირავებული 20 მილიონიდან ამონაგები 70 მილიონი ანაკლიაში მიაქვს თუ პოლიტიკაში? რადგან დღეს არც ანაკლიის ზუსტი ღირებულება ვიცით და არც ის, სადაა ფინანსები, რომელიც უნდა მობილიზდეს. იმაზეც დიდი ხანია შევთანხმდით, რომ ეს პორტი არის პოლიტიკური და არა კომერციული მნიშვნელობის. ამიტომ, ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობა სახელმწიფომ უნდა აიღოს. და ბოლოს, როდესაც გამოდიხარ და ამბობ, რომ მარტო ხაზარაძე კი არა, საქართველო ვარო, მინიმუმ, მორიდებული უნდა იყო. ილია ჭავჭავაძეს არ შეუდარებია თავისი თავი ქვეყანასთან, მიუხედავად იმისა, რომ უამრავი პროექტი აქვს განხორციელებული. ისე, ივანიშვილსაც არანაკლები პროექტები აქვს განხორციელებული – 3-4 მილიარდი დახარჯა ქართულ პროექტებში, მაგრამ საბოლოოდ მივიდა იქამდე, რომ დღეს მისი სახეები სწორედ ის „ნაცები“ არიან, ვისაც ებრძოდა. ე.ი. ვერც ივანიშვილი ვერ გახდა საქართველოს სახე, ერთი ადამიანი არასოდეს არის და არც იქნება ამ ქვეყნის მომავალი! საქართველო კი კიდევ ბევრს გაუძლებს, ამ დროებით რყევებსაც და ამ გამოცდილებით უფრო გაბრწყინებული გამოვა მდგომარეობიდან, – განაცხადა ჭიჭინაძემ.

ნაზი ჯანეზაშვილი: „შალვა თადუმაძე უფრო თავაზიანი და სოლიდური მეგონა“

„ირაკლი შენგელიას ცოლი, დისშვილი და ცოლისძმა სასამართლო სისტემაში მუშაობენ“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს იუსტიციის საბჭოს არამოსამართლე წევრი ნაზი ჯანეზაშვილი პასუხობს.

– ნაზი, თქვენ აქტიურად ხართ ჩართული იმ პროცესებში, რაც დღეს სასამართლო სისტემის გარშემო ხდება. რასთან გვაქვს საქმე?

– რეალურად ეს არის პროცესი იმისა, რომ ვიღაცებმა გაიფორმონ სასამართლო. საბოლოო ჯამში, წერტილი დაესვას რაიმე შანსებს და შესაძლებლობებს იმისას, რომ სისტემაში რაღაცა ოდესმე მაინც შეიცვლება. საბოლოოდ სასამართლო დასამარდება, თუკი აქ ისევ მოხვდება ისეთი ხალხი, რომელიც გარიგების საფუძველზეა შერჩეული.

– ხედავთ მზაობას საიმისოდ, რომ ეს პროცესი რამენაირად შეიცვალოს?

– ერთადერთი ეს შეიძლება გააკეთოს მხოლოდ პარლამენტმა და არ აირჩიოს კანონის დარღვევის საფუძველზე წარდგენილი ადამიანები.

– რას იტყვით კონკრეტულად ამ კანდიდატების შესახებ? 20 კანდიდატთან მიმდინარეობს გასაუბრება, თუკი პარლამენტმაც დაუჭირა მათ მხარი, მაშინ რას მივიღებთ?

– თუკი პარლამენტმა მხარი დაუჭირა ასე გარიგების საფუძველზე არჩეულ კანდიდატებს, ეს ადამიანები იქნებიან არალეგიტიმურად არჩეული მოსამართლეები, ვინაიდან არის ძალიან სერიოზული დარღვევები, მათ შორის სახალხო დამცველი საუბრობს ამაზე.

– საუბარია ასევე სანათესავო კლანზე. თქვენ ისაუბრეთ ირაკლი შენგელიასა და მის საახლობლო წრეზე. უფრო დეტალურად რა ხდება?

– ძალიან ნიშანდობლივია ის, რომ ეს ადამიანი გაძლიერდა და განსაკუთრებით ბოლო წლებში. ის არასოდეს უჩიოდა ძალაუფლების ნაკლებობას სისტემაში, მაგრამ ბოლო წლებში განსაკუთრებით შესამჩნევია, რომ მისი ძალაუფლება ძალიან მომატებულია.

ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ იგი არის ჩინჩალაძის მარჯვენა ხელი და, შესაბამისად, მას შესაძლებლობა აქვს, რომ თავისი ახლო ნათესავები დაასაქმოს სისტემაში.

მე არ ვიცი, ეს ხალხი როგორ მოხვდა აქ. შეიძლება ეს იყო ფორმალური კონკურსი. ცხადია, რომ როდესაც ადამიანი არის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პირი სისტემაში და მისი მეუღლე ასევე სასამართლო სისტემაში მუშაობს, მისი დისშვილი სასამართლო სისტემაში მუშაობს, ასევე მისი ცოლისძმა არის მოსამართლე. კითხვები ჩნდება, ხომ არა გვაქვს საქმე ნეპოტიზმთან, ინტერესთა კონფლიქტთან და საერთოდ კლანთან?!

კლანის ერთ-ერთი ნიშან-თვისება სწორედ ეს არის, რომ ოჯახის წევრები და ნათესავებიც არიან იმავე სისტემაში დასაქმებულები და, ცხადია, მათი გავლენები უფრო მასშტაბურია, როდესაც საქმე ეხება მაღალ თანამდებობას, დაბალსაც და საშუალოსაც.

– ნაზი, თქვენსა და შალვა თადუმაძეს შორისაც მოხდა მცირე შეკამათება და ინციდენტი. მე თქვენზე ძლიერი იურისტი ვარო, ასე გითხრათ მან. მის შესახებ რას გვეტყვით?

– მე მის შესახებ არასდროს რაიმე სახის განცხადება არ გამიკეთებია, არასდროს მის შესახებ არაფერი მითქვამს, არ ვიცნობდი მას ასე კარგად. პროფესიულად გარკვეული გადაკვეთა ყოფილა, მაგრამ ძალიან მცირე, ეპიზოდური, შეიძლება ასე დავარქვათ.

მოლოდინი მქონდა, რომ ის იქნებოდა უფრო თავაზიანი და უფრო სოლიდური. მე გამაკვირვა იმან, რომ მოვიდა თუ არა გასაუბრებაზე, კითხვაც კი არ მქონდა დასმული, პირდაპირ ჩემზე დაიწყო საუბარი. პირდაპირ დაიწყო მინიშნება იმაზე, თუ რატომ ვაკეთებ მე განცხადებებს სასამართლო სისტემასთან დაკავშირებით, იუსტიციის საბჭოს ბანერის წინ.

ცოტა უცნაურია, გენერალური პროკურორია და ვფიქრობდი, ცოტა სხვა ტიპის ადამიანთან მექნებოდა შეხება. მაგრამ...

– იმედები გაგიცრუათ?

– დიახ, სიმართლე გითხრათ, მეტს ველოდი. ჩემთვის საინტერესო ის იყო, რომ როდესაც მას კითხვა დავუსვი გაჭიანურებულ გამოძიებაზე, მან პირდაპირ მოიშველია, რომ ის არის გენერალური პროკურორი და არ შეიძლება ამ კითხვებზე პასუხის გაცემა.

როდესაც ადამიანი მოდის იუსტიციის საბჭოში გასაუბრებაზე, ჩემთვის ის არის კანდიდატი, რომელსაც აქვს რაღაც კონკრეტული გამოცდილება, ან პროკურორობის, ან მოსამართლეობის, ან ადვოკატობის და ასე შემდეგ.



მე მას შეკითხვა არ დავუსვი, როგორც გენერალურ პროკურორს. მე შეკითხვა დავუსვი, როგორც გენერალურ პროკურორად მუშაობის გამოცდილების მქონე ადამიანს. იმ კონკრეტულ მომენტში ის რომ გენერალური პროკურორია და არ შეიწყვიტა და არ მოიხსნა უფლებამოსილება, ეს არის მისი პრობლემა და არა – ჩემი პრობლემა!

ამიტომ კანდიდატს უნდა ესმოდეს ეს და არ უნდა შეზღუდოს საბჭოს წევრი. მე ეთიკა მავალდებულებს და უნდა ვიყო ჩუმადო. მაშინ თვითონ გადაჭრას ეს პრობლემა ისე, რომ არ დაარღვიოს, ეთიკის სტანდარტი იქნება თუ სხვა სტანდარტი!

შოთა მალაშხია: „ქართული ოცნება“ საბჭოთა სექტაა“

„ჩვენ შეიძლება, ვიყოთ განსხვავებულები, მაგრამ აუცილებელია შეთანხმება ძირითად საკითხებზე. ერი შეთანხმებულია, რომ რუსეთი ოკუპანტია, ივანიშვილის ხელისუფლება კი მას ემსახურება“

მარიამ მჭედლიშვილი

ქართველი ექსპერტების ნაწილი ირწმუნება, რომ „ქართულმა ოცნებამ“ მის წინაშე წარმოშობილი კრიზისი წარმატებულად დაძლია. ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის ლიდერ შოთა მალაშხიას.

შოთა მალაშხია:

– ჩვენთან ხშირად ექსპერტებს ეძახიან პირებს, რომლებსაც ფულს უხდიან. ეს დაფინანსებული ადამიანები ახმოვანებენ დაკვეთილ გზავნილებს. უბედურება ისაა, რომ ამ ხალხს არ ესმის, რომ ფულის გულისათვის ყველაფერი არ უნდა იკადრო.

– იმის თქმა, რომ „ოცნებამ“ კრიზისი კარგად გადაიტანა, ცუდის კადრებაა?

– რასაკვირველია. ეს შექმნილ მდგომარეობაში უზნეობაა. 20-21 ივნისის მოვლენების შთაბეჭდილებები ხალხს არ განელებია. იქ მიღებული ჭრილობები არ მოგვშუშებია.

ამ სისხლიანი მოვლენებიდან მოკლე ხანში მთელი ხელისუფლება, პრეზიდენტით დაწყებული, თბილისის მერით დამთავრებული, იდგა და მოსკოვის წინაშე ბოდიშებს იხდიდა. არ ვამბობ, რომ გიორგი გაბუნია სწორად და კარგად მოიქცა, მაგრამ ხელისუფლებამ მის გინებას სამარცხვინო მონობა მოაყოლა, ყველა პუტინის დედის დამცველებში ჩადგა. პუტინის დედის დაცვისას ქართლის დედა ფორმალურადაც კი დაავიწყდათ. 21 ივნისს რუსეთის მოსამსახურე „ქართული ოცნების“ სისტემა სრულიად გაშიშვლდა.

– ტატუნაშვილის მიმართ ახალი ჩადენილი იყო უმძიმესი დანაშაული, როცა მაშინდელი პრემიერი კვირიკაშვილიც მობოდიშებით დაელაპარაკა მოსკოვს.

– ესეც იმას ამტკიცებს, როგორია „ქართული ოცნების“ სისტემა. 21 ივნისს პირდაპირ გვითხრეს, რუსეთის ინტერესებისთვის თვალებს დაგთხრით, ვინც რუსეთს მოთხოვნებს წაუყენებთ და გააკრიტიკებთ, დაისჯებითო. ამით ხალხს ვერ დააშინებენ. „ქართული ოცნება“, თავისი ჭკუით, ემზადება იმისთვის, რომ საქართველო რუსეთის გუბერნიად გადააქციოს.

– რუსეთის ელიტას ისედაც ჰგონია საქართველო რუსეთის დე ფაქტო გუბერნია.

– რუსეთს ამაში ეხმარება „ქართული ოცნება“. საუბედუროდ, ყოველთვის იყვნენ ნაძირალა ქართველები, რომლებიც სულ რუსეთის მომადლიერებაზე ფიქრობდნენ. ასეთებმა საქართველოში ჩამოსულ რუსეთის იმპერატორს თავადის ასული ჩაუწვინეს ლოგინში.

ასეთი ქართველები ახლაც არიან, მაგრამ მათი რაოდენობა ცოტაა. დანარჩენ ქართველობას საქართველოს დამოუკიდებლობა, ევროკავშირი და ნატო გვინდა. ის, ვინც რუსეთის დავალებებს ასრულებს ან ვინც რუსეთს მარჩენლად მიიჩნევს, ისეთივე მონაა, როგორიც ის არამზადა

ქართველები იყვნენ, რომლებიც რუსეთის გამო ყველაფერზე მიდიოდნენ.

ვერ ვწვდები იმ ქართველი სასულიერო პირების აზროვნებას, რომლებიც გამუდმებით რუსეთის გამართლებაში არიან. ან ავტოკეფალიის ამბავი არ ახსოვთ, ან ის, რასაც რუსი ეგზარქოსები საქართველოში ჩადიოდნენ?!

საკუთარი ახალგაზრდების თვალების დამთხრელ „ოცნებასაც“ არა აქვს გამართლება. ამას იმ ვაიექსპერტების გასაგონად ვამბობ, რომლებიც „ქართული ოცნების“ დაკვეთით მის წარმატებაზე საუბრობენ.

რუსული „ქართული ოცნება“ ვერაფრით „პრავდება“. 21 ივნისის დანაშაულის, ისევე, როგორც 9 აპრილის სისხლის ჩამორეცხვა შეუძლებელია. მაშინ ამის გამართლებას ცდილობდა ფოფხაძე, ახლა – დეპუტატი „ოცნებიდან“ კაკი ზოიძე. „ოცნებას“ რუსთავი 2-ის გამოც შეექმნა ცრუ ილუზიები.

– „ოცნებაში“ ამასაც წარმატებად თვლიან?

– ჰგონიათ, რომ არხის მფლობელი და გენდირექტორი შეიცვალნენ და ამის გამო საზოგადოება „ოცნებას“ სხვა თვალით შეხედავს. იმას ვერ ხვდებიან, რომ ხალხში განწყობა არ შეცვლილა. სულ რომ დახურონ ოპოზიციური ტელევიზიები, ინფორმაცია მაინც გავრცელდება.

21-ე საუკუნეში საინფორმაციო ღრუს დახშობა შეუძლებელია. სხვას რომ თავი დავანებოთ, ინფორმაცია ჭორად, ჰიპერტროფირებული ფორმით გავრცელდება. ამით ხელისუფლებას არაფერი შეემატება.

საერთოდ, ისე გველაპარაკებიან, თითქოს მე-20 საუკუნის დასაწყისი იყოს და არა – 21-ე საუკუნე.

– მაგ დროს ბოლშევიკები და მენშევიკები იყვნენ.

– სწორედ იმ შორეულ დროს რევოლუციებს ფოსტა-ტელეგრაფისა და სხვა შენობების აღებით იწყებდნენ. „ქართული ოცნება“ ამბობს, რომ ოპოზიციას 21 ივნისს პარლამენტში შეჭრა უნდოდა. ესეც საეჭვოა. დავუშვათ, რამდენიმე კაცი შესულიყო პარლამენტში. ეს ხალხი მყისიერად დეპუტატებად იქცეოდა და ხელისუფლებას გადაატრიალებდა თუ რა?

კორუფციითაც ჩამოჰგავს „ქართული ოცნება“ საბჭოთა დროს მეოცე საუკუნის უფრო გვიანდელ პერიოდში. სააკაშვილისას ელიტური კორუფცია იყო. ასე, ჩაწყობით შეიძლებოდა შერჩეულიყო ფირმა, რომელიც ობიექტს ააშენებდა. დღეს კორუფციამ ყველაფერი მოიცვა და შედეგად ვიღებთ მშენებლობების შეჩერებას ან უხარისხო ნაგებობებს.

საბჭოთა დროს გავრცელებული იყო რეალისტური თქმულება ამერიკელ და რუს მშენებლებზე. ამერიკელმა რუსს აშშ-ში უმასპინძლა იმ ფულით, რომელიც მან ხიდის აშენებით მოიგო. რუსმაც გაუწია ამერიკელს მასპინძლობა იმ თანხით, რომელიც ხიდის აგებას უნდა მოხმარებოდა, მაგრამ ხიდი არ აშენდა. „ოცნებაც“ ამ რუსივით იქცევა. „ქართული ოცნება“ საბჭოთა სექტაა.

– თუ ასეა, რეპრესიებშიც უნდა მიბაძოს.

– ქართველ რეპრესირებულებს ციმბირში ასახლებდნენ. ახლა ეგ არ გამოუვათ. აგერ, ნიკა მელიას მიმართ უნდოდათ რეპრესიის მაგვარი, მაგრამ ყველაფერი უუულმა მოუბრუნდათ.

– ნიკა მელიას მიმართ გამოჩენილ ფართომასშტაბიან სოლიდარობას გულისხმობთ?

– ბუნებრივია. ის ხალხიც კი, რომელიც მანამდე ნიკა მელიასადმი გულგრილი იყო, მისი გულმხურვალე მხარდამჭერი გახდა. მას აიგივებენ 20-21 ივნისისა და 9 აპრილის გმირებთან.

პოლიტიკოსისათვის ასეთი მდგომარეობა სანატრელია. ზოგადად, ჩვენ შეიძლება ვიყოთ განსხვავებულები, მაგრამ აუცილებელია შეთანხმება ძირითად საკითხებზე. ერი შეთანხმებულია, რომ რუსეთი ოკუპანტია, ივანიშვილის ხელისუფლება კი მას ემსახურება. ზოგი კონსერვატორი ვართ, ზოგი ლიბერალი, ზოგი – მართლმადიდებლური ფასეულობების დამცველი, ჩვენი კუთხეებიც ჭრელია.

საბედნიეროდ, ყველანი ვიწონებთ ანტისაოკუპაციო მოძრაობას და გამოვდივართ ოკუპაციის წინააღმდეგ. აქციის მონაწილეების მიმართ საყოველთაო სიყვარული იგრძნობა.

– მოკავშირეები „ქართულ ოცნებასაც“ ჰყავს.

– ეგ ისეთი უსახური და ბნელი ჯგუფებია, რომ სათქმელადაც არ ღირს. მაგათი ერთობლივი მდგომარეობა მაგონებს ანეკდოტს – ექიმი ავადმყოფთან რომ მივიდა, გარდაცვლილი დახვდა, იკითხა, სიკვდილის წინ ოფლი თუ მოუვიდაო. თუ გაოფლიანდა, კარგიაო, დაასკვნა ექიმმა.

ასეთ მდგომარეობაშია „ოცნება“ თავის მოკავშირეებიანად.

– განიხილება საკითხი, ვის შეიყვანს „ქართული ოცნება“ მომავალ კოალიციაში.

– „ქართულმა ოცნებამ“ ჯერ ახლანდელ სიტუაციას მიხედოს! საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინ ფერდაკარგული ივანიშვილი იხვეწებოდა, ერთი წელიწადი მომეცითო.

თურმე, იმიტომ სდომებია ეს დრო, რომ ახალგაზრდებისთვის თვალები დაეთხარა. სხვა მხრივაც გაუარესდა ქვეყანაში მდგომარეობა. მომავალი არჩევნების წინ ივანიშვილს სათქმელი აღარ დარჩება.

ქართული ველოსიპედის წარმოება გადაიდო

ადგილობრივი პირველი ველოსიპედის წარმოება გადაიდო. პროექტი 2019 წლის აპრილიდან უნდა გამოჩენილიყო, თუმცა, ქვეყანაში არსებული მაკროეკონომიკური პრობლემების გამო მისი განხორციელება დაპაუზდა. ამის შესახებ „კომერსანტს“ Georgian Bicycle Group-ის ხელმძღვანელმა ბექა კიკნაველიძემ განუცხადა.

მისი განმარტებით, მას შემდეგ, რაც ქვეყანაში ლარის კურსის გაუფასურების ტრენდია, ამოქმედდა საბანკო რეგულაციები და ზოგადად, ბანკები კლიენტებთან ურთიერთობისას უფრო ფრთხილები გახდნენ, პროექტისთვის საჭირო დაახლოებით, 120 000 აშშ დოლარის (საწყის ეტაპზე) ფინანსური რესურსების მოძიება გართულდა. შესაბამისად, კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება, ეს იდეა სხვა პროექტით ჩაანაცვლოს. მათ შორისაა, საცალო ქსელების განვითარება და ტურისტულ სააგენტოებთან ერთად ველოსიპედების გაქირავების სისტემის ჩამოყალიბება.

– ველოტურიზმზე მოთხოვნა ძალიან გაიზარდა, განსაკუთრებით, აქცია spend your summer in georgia-ს შემდეგ. თვეში თუ აქამდე 10-20 ველოსიპედს ვაქირავებდით, ახლა დღეში გვიწევს რამდენიმე ველოსიპედის გაქირავება, – აცხადებს კიკნაველიძე.

რაც შეეხება საცალო ქსელების განვითარებას, ამ დროისთვის კომპანიას უკვე აქვს თბილისში, ვაკეში (აბაშიძის 51) ერთი მაღაზია, ხოლო საწყობი იოსებიძეზე. უახლოეს მომავალში დაგეგმილია მიწის შეძენა ან იჯარით აღება, სადაც ველოსიპედებთან ერთად ელექტრომობილების წარმოების გაერთიანებული ბაზა განთავსდება.

როგორც ცნობილია, კომპანიას, კორპორატიული დაკვეთით უკვე გამოუშვა ქართული ველოსიპედი, თუმცა, მცირე პარტიებით. Georgian Bicycle Group-ი Bikes.ge-ს შვილობილი კომპანიაა. კომპანია ქართულ ბაზარზე ერთი წლის წინ გამოჩნდა. BIKES.GE გერმანული და სლოვაკური ველოსიპედების იმპორტს ახორციელებს.

კომერსანტი

აზერბაიჯანელი დეპუტატი: „თბილისი ძველი აზერბაიჯანული ქალაქია“

ბაქო პრეტენზიას შირაქის ველზეც აცხადებს

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს ხელისუფლება აღარ ჰყავს, რომ ჰყოლოდა, აქამდე აზერბაიჯანის ელჩი რამდენიმეჯერ იქნებოდა დაბარებული ახსნა-განმარტებების მისაცემად. „ოცნებამ“ შეგვაჩვია, რომ დავითგარეჯზე ხმას აღარ იღებენ, მაგრამ ქვეყნის დედაქალაქზე ხომ მაინც შეიძლება, ამოიღონ ხმა – აზერბაიჯანელმა დეპუტატმა თბილისი ძველ აზერბაიჯანულ ქალაქად შერაცხა.

ეტყობა, საქართველოს ისტორიის გაყალბება მოდაში შემოვიდა. აქამდე ამ მიმართულებით სომეხი ისტორიკოსები გამოირჩეოდნენ, რამდენიმე კვირის წინ მათ მხარი ავადსახსენებელმა პუტინმა აუბა. აზერბაიჯანელმა დეპუტატ-ისტორიკოსმა იაგუბ მახმუდოვმა კი ყველა რეკორდი მოხსნა.

აზერბაიჯანული მედიისთვის მიცემულ ინტერვიუში ამავე ქვეყნის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, ეროვნული ასამბლეის მოადგილე, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის წევრი იაგუბ მახმუდოვი აცხადებს, რომ დავითგარეჯი და აღმოსავლეთ საქართველო, მათ შორის თბილისი, აზერბაიჯანული მიწებია.

აქამდე ყველამ ვიცოდით, რომ ავადსახსენებელმა სტალინმა ქართული მიწები უხვად ჩამოარიგა და აზერბაიჯანსაც გემრიელი ლუკმა უფეშქაშა საინგილოს სახით. იაგუბ მახმუდოვის აზრით კი სტალინს მათი მიწები ქართველებისთვის

გადაუცია. საუბარია შირაქის დაბლობზე.

მახმუდოვის თქმით, მათ შეუძლიათ, ისტორიული მიწების დაბრუნება მოითხოვონ, მაგრამ კეთილმეზობლობის ხათრით ამას არ აკეთებენ.

– პროვოკატორებმა და მათთან დაკავშირებულმა ძალებმა უნდა იცოდნენ, რომ დავითგარეჯი და აღმოსავლეთ საქართველო აზერბაიჯანული მიწებია.

ტიფლისი არის უძველესი აზერბაიჯანული ქალაქი. თუ საქართველო პროვოკატორების მითითებებით ხელმძღვანელობს, აზერბაიჯანსაც აქვს უფლება, მოითხოვოს თავისი ისტორიული მიწები.

1930-იან წლებში, აზერბაიჯანის ხალხის თანხმობის გარეშე, სტალინმა საქართველოს შირაქის დაბლობის მონაკვეთი გადასცა.

ჩვენი მიწები ალაზნის მარჯვენა სანაპიროზეა. თუმცა, ტერიტორიებზე პრეტენზიებს არ ვაცხადებთ, რადგან ჩვენ ვაფასებთ ქართველ ხალხთან მეგობრობას. მეგობრებს არ ღალატობენ, – აღნიშნა აზერბაიჯანელმა პარლამენტარმა.

მისი გამოხდომა მთლად ანტიქართული რომ არ ყოფილიყო, ვირეშმაკა ისტორიკოსმა საქმეში სომხებიც გარია.

იაგუბ მახმუდოვი ამბობს, რომ საქართველოს, აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის მეგობრული ურთიერთობის დაზიანება სომხეთს სურს.

– აზერბაიჯანის საზღვრის დარღვევით მომხდარი ინციდენტი არ იყო შემთხვევითი. ეს არის მიზანმიმართული პროვოკაცია, რომელიც მიზნად ისახავს აზერბაიჯანს, საქართველოსა და თურქეთს შორის მეგობრული ურთიერთობების დაზიანებას, რაც სამხრეთ კავკასიაში მშვიდობისა და უსაფრთხოების გარანტიაა.

მე მჯერა, რომ ეს პროვოკაცია ხორციელდება სამხრეთ კავკასიაში სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების მქონე ელექტროსადგურებისა და სომხეთის მარიონეტების მიერ.

ამ ყველაფრის უკან სომხური რეჟიმის ძალები დგანან, მაგრამ აზერბაიჯანს, საქართველოსა და თურქეთს შორის ურთიერთობების დამანგრეველს არაფერი შეუძლია. მიუხედავად ამისა, ნებისმიერი სახის პროვოკაციას მოჰყვება რეაქცია. ჩვენ შეშფოთებული ვართ, რომ საქართველოში გარკვეული ძალები ხშირად ასეთ პროვოკაციებს მიმართავენ და ყოველთვის დაუსჯელები არიან, – აღნიშნა აზერბაიჯანულ მედიასთან საუბარში მახმუდოვმა.

განცხადება თბილისისა და აღმოსავლეთ საქართველოს აზერბაიჯანის კუთვნილებაზე რომ ჩვეულებრივ ისტორიკოსს გაეკეთებინა, ალბათ უნდა გვეკისკისა. სხვა თუ არაფერი, სომხები უკვე მრავალი წელია ამტკიცებენ, თბილისი სომხური ქალაქიაო. თუმცა, როცა ასეთ განცხადებას აზერბაიჯანის პარლამენტის წევრი აკეთებს, საქართველოს ხელისუფლებამ კეთილი უნდა ინებოს და მას საკადრისი პასუხი გასცეს.

აფსუს, რა ტყუილად ჩაშუშულა იმ ცხელ წყალში გორგასლის მიმინოს მიერ აწიოკებული ხოხობი! აქამდე მის თავგანწირვას ახსნა მაინც ჰქონდა – მისმა სიკვდილმა მეფე ვახტანგს ცხელი წყარო აპოვნინა და ამით შთაგონებულმა დააარსა თბილისი.

იმ მავნე იაგუბ მახმუდოვმა კი ეს ლეგენდა სულ თავზე გადაგვახია.

გურამ ვახტანგაშვილი: „ოპოზიციამ ხელისუფლება პროვოკაციაზე წამოიკიდა“

გულიკო ბალაძე

პარლამენტის ყოფილი წევრი გურამ ვახტანგაშვილი „ახალ თაობასთან“ ბოლოდროინდელ მოვლენებს გამოეხმაურა და პუტინის განცხადებებსა და ცხინვალის რეგიონზე ისაუბრა.

– ბატონო გურამ, ალბათ, ბოლოდროინდელ მოვლენებს თვალყურს ადევნებდით. მოგეხსენებათ, გავრილოვის გაძევების შემდეგ გარკვეული გარემოებებით გამწარებული პუტინი ჩვენს ისტორიას უხეშად შეეხო. თქვენ როგორ მოისმინეთ მისი განცხადებები?

– როგორც ჩვეულებრივმა ქართველმა. ვისაც ისტორია წაუკითხავს, ვინც ისტორია ცოტა მაინც იცის, მისთვის კარგადაა ცნობილი, რა ხდებოდა. ცხინვალის რეგიონზე პუტინმა სისულელეები ილაპარაკა. აბსოლუტურად არასწორი ინფორმაცია მიაწოდა საზოგადოებას. მის ნათქვამში ერთი სიტყვაც არ იყო სწორი.

– ჩვენ არაერთხელ დაგვიწერია ის, თუ როდის შემოვიდნენ ცხინვალის რეგიონში ოსები საცხოვრებლად. ცნობილია, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისში ორი თუ სამი ოსური ოჯახი ცხოვრობდა ქალაქ ცხინვალში.

– ყველაზე ნათელი, რაც ჩანს, ეს არის ბუნებრივი საზღვარი ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის. არ შეიძლებოდა, სახელმწიფოს დამოუკიდებლად ეარსება, თუ მას საზღვარი დაცული არ ექნებოდა. საქართველოს სახელმწიფოს ჩრდილოეთიდან ბუნებრივი საზღვარი იცავდა. არ შეიძლებოდა, დამოუკიდებლად ეარსება სახელმწიფოს სამხრეთში პატარა, ლოკალურ ადგილზე, ჩრდილო ოსეთთან კავშირის გარეშე. ბუნებრივი საზღვრის გადალახვა კი მაშინ ცხენებითაც არ შეეძლოთ. მხოლოდ ზაფხულობით შეეძლოთ ბილიკით ფეხით სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ გადასვლა.

– კომუნისტების მიზანი, გარკვეულწილად, სააკაშვილმა ხომ აუსრულა, როდესაც დროებითი ადმინისტრაცია შეუქმნა და ადმინისტრაციული საზღვარი ისე მოუხაზა, როგორც მათ უნდოდათ.

– სააკაშვილმა ოლქი რა საზღვრებშიც იყო, იმ საზღვრებში აღადგინა და თავისი პრეზიდენტი, სანაკოევი დაუნიშნა.

– სანამ ისტორიულ საკითხებზე გავაგრძელებდეთ საუბარს, მინდა გკითხოთ: ხომ არ იცით, რას აკეთებს სანაკოევი, რომელიც დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელია? არანაირ განცხადებას ეგ არ აკეთებს.

– სანაკოევი პოლიტიკურ განცხადებებს არ აკეთებს. ადმინისტრაცია აქვს, სადაც დაახლოებით 100 კაცი მუშაობს. სანაკოევი ძირითადად დაკავებულია ცხინვალის რეგიონიდან სამკურნალოდ გადმოყვანილი მოქალაქეების დაფინანსებით. დანარჩენი, არ ვიცი, რას აკეთებს.

– ალბათ, თვალს ადევნებდით გავრილოვის საქართველოში ვიზიტს.

– საქართველოს ხელისუფლებას ეგ არ უნდა დამართნოდა. შეიძლება, პროვოკაციაც იყო და ხელისუფლება პროვოკაციაზე წამოაგეს. ის ღონისძიება ბათუმში ჩაეტარებინათ. ბათუმი მშვენიერი ქალაქია, მაგრამ იმაზეც ატეხდნენ ყვირილს.

– ამასწინათ ბათუმში დღესასწაული იმართებოდა, სადაც რუსული ანსამბლი იყო ჩამოსული. მათ რუსული დროშები ააფრიალეს, რაც, ცხადია, არ იყო სასიამოვნო ფაქტი, რასაც პროტესტი მოჰყვა.

– დიახ, მაგრამ ხელისუფლებას ასეთი შეცდომები არ უნდა დაეშვა. ფაქტობრივად, ოპოზიციამ ხელისუფლება პროვოკაციაზე წამოიკიდა.

– იმ პრობლემების შემდეგ, რომლებიც შეიქმნა 20-21 ივნისს, რუსეთთან მოლაპარაკებები როგორ წარმოგიდგენიათ?

– მთელი მსოფლიო გვეუბნება, რუსებს მოელაპარაკეთო. მხოლოდ ჩვენ ვაცხადებთ, რუსებს არ მოველაპარაკებითო. ტერიტორიები რუსებმა წაგვართვეს. თუ რუსები მოინდომებენ, ცხინვალის პრობლემა 1 საათში გადაწყდება. ცხინვალის ე.წ. სეპარატისტული ხელისუფლება ნაბიჯს არ დგამს რუსეთის დაუკითხავად.

– რუსეთს თავისი პირობები აქვს. ტყუილად არაფერს დაგითმობს, თუკი იქით არ წაიღებს კიდევ რაღაცას.

– რუსეთს რა პირობები აქვს?

– არ ვიცი. ერთი მოთხოვნა, მაგალითად, ნატოსთან დისტანცირებაა, მაგრამ, როდესაც თავს გესხმის და ტერიტორიებს გვართმევს, როგორ უნდა ვთქვათ ნატოსა და ამერიკასთან ურთიერთობაზე უარი?

– ამერიკასთან ურთიერთობაზე უარი არ უნდა ვთქვათ, მაგრამ ნახეთ, ნატოს გულისთვის უკრაინა რა დღეშია – ყირიმი საქართველოზე დიდია ტერიტორიულად და მოსახლეობითაც. ამას ემატება დონეცკი და ლიგანსკი, რომელიც რუსეთმა უკრაინას, როგორც კარაქი, ისე ჩამოაჭრა.

ჩვენ უნდა ჩამოვყალიბდეთ, რა გვინდა. ომში და უბედურებაში ვბერდები. თაობები იზრდებიან. ცხინვალში იზრდება ის თაობა, რომელსაც ქართველების დანახვაც არ უნდა. 2008 წლის სამიტზე ნატოს თავის რიგებში რომ მივეღეთ, შეიძლება, ცხინვალში ომი არ დაწყებულიყო. ახლა ნატოში მიღება როგორ წარმოგიდგენიათ.

– ნატოში არავინ გვიღებს. უბრალოდ, კარგი ურთიერთობები გვაქვს და ჯარის წვრთნაში გვეხმარება, მაგრამ რუსეთი ამასაც ვერ იტანს.

– ყველასთან კარგი ურთიერთობა უნდა გვქონდეს, მით უმეტეს, სტრატეგიულ მოკავშირე ამერიკასთან. ამერიკას რომ არ მიეღო არაღიარების გადაწყვეტილება და ცხინვალი და აფხაზეთი ეღიარებინა, ალბათ, ნახევარი მსოფლიო აღიარებდა. მეორე მხრივ, თუკი ამერიკას აქვს ინტერესები ამიერკავკასიაში, რომელიც დასავლეთსა და აღმოსავლეთს აკავშირებს, რუსეთსაც აქვს თავისი სტრატეგიული ინტერესები. რუსი არასდროს დათანხმდება აქ სხვა სამხედრო ბლოკის ჯარები განლაგებას.

– ჩვენც შეგვიძლია, ალბათ, რაღაც დათმობაზე წავიდეთ, მაგრამ რუსეთს უნდა, მისი მონა ვიყოთ, თან ტერიტორიების დაბრუნება არ უნდა.

– ხომ შეიძლება, ერთი შეხვედრა მოეწყოს და გავიგოთ, რუსებს რა უნდათ და ჩვენ რა გვინდა. ჩვენ გვაქვს წითელი ხაზები. ხომ შეიძლება, საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე უარი რომ არ ვთქვათ, წითელი ხაზები არ გადავკვეთოთ და მოვილაპარაკოთ.

– შემდეგ სააკაშვილმა, გარკვეულწილად, ხომ აღადგინა, „სამხრეთ ოსეთის“ დროებითი ადმინისტრაცია შექმნა და, თუკი კარგად წავიდოდა საქმე, სააკაშვილი მეტსაც დათმობდა, მაგრამ, რაც მოხდა, იცით.

– სააკაშვილმა კი არ აღადგინა, არამედ ჩვენს კონტროლირებად ტერიტორიაზე ცხინვალიდან გამოქცეული სანაკოევი და ძმები ქარქუსოვები შეიფარა, რომლებსაც ცხინვალში არ დაედგომებოდათ. სოფელ ქურთაში ჩავატარეთ ე.წ. ვითომ არჩევნები. სოფელ ქურთაში აუშენა ადმინისტრაციული შენობა და იქ განათავსა დროებითი ადმინისტრაცია. მე ამის წინააღმდეგი ვიყავი, ვეკამათებოდი მათ, დღეს აქეთ რომ გვაბრალებენ რაღაცებს. გვარების დასახელება არ მინდა. მომავალში, თუ საჭირო იქნება, მათ გვარებსაც დავასახელებ. ძალიან დიდი ფინანსები გვაქვს და ის ოსები უნდა გადმოვიბიროთო. ცხინვალში საკითხი ვისაც უნდა გადაეწყვიტა, მას არ მოელაპარაკნენ.

– ამ ფონზე პუტინმა საქართველოს ამ ისტორიული კუთხის ისტორია თავდაყირა დააყენა.

– დიახ, პუტინმა გაყალბებული ისტორია წარმოადგინა.

რამდენმა საჯარო მოხელემ დატოვა საპენსიო სისტემა

– დათვლილი გვაქვს, უბრალოდ, დიდი ფურცლებით უნდა მოვიდე, – ასე უპასუხა საპენსიო სააგენტოს ხელმძღვანელმა „საქმის კურსის“ წამყვანის კითხვას იმის თაობაზე, თუ რატომ იკავებს თავს სააგენტო, დაასახელოს იმ საჯარო მოხელეების რაოდენობა, რომლებმაც დაგროვებითი საპენსიო სისტემის დატოვების გადაწყვეტილება მიიღეს.

– რატომ ერიდებით ამის თქმას, თუ დათვლილი არ გაქვთ? – იკითხა წამყვანმა, რაზეც სააგენტოს ხელმძღვანელმა შემდეგი პასუხი გასცა:

– დათვლილი გვაქვს, უბრალოდ, დიდი ფურცლებით უნდა მოვიდე და ყველა რიცხვი მოვიტანო; რასაც იმახსოვრებს ჩემი პერსონალური კომპიუტერი (იგულისხმა საკუთარი მეხსიერება), მაგას გეტყვით – საჯაროდან გასულია გაცილებით ნაკლები, ვიდრე – კერძო სექტორიდან. ეს ბუნებრივიც არის, იმიტომ რომ კერძოდან გაწევრიანებულების რიცხვი არის რამდენიმეჯერ მეტი, ვიდრე – საჯაროდან. საჯარო სექტორიდან საპენსიო სისტემაში სულ გაწევრიანებულია 200,000 ადამიანი, აქედან გასვლის უფლება აქვს გაცილებით ნაკლებს, სადღაც 80,000-ის ფარგლებში და გასულია რამდენიმე ათეული, შეიძლება ორი ათეული, – განაცხადა სურგულაძემ.

ცნობისთვის: ბოლო 1-1.5 თვის განმავლობაში BM.ge არაერთხელ შეეცადა საპენსიო სააგენტოდან მიეღო ოფიციალური ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ საჯარო სექტორში დასაქმებულმა რამდენმა ადამიანმა დატოვა საპენსიო სისტემა, მაგრამ პასუხი ვერც ერთხელ მიიღო; აღნიშნულის მიზეზად სააგენტო მუდმივად იმას ასახელებდა, რომ ინფორმაცია ხშირად განახლებადი და ცვალებადია.

„საქმის კურსშიც“ ლევან სურგულაძემ ჩამოთვალა ყველა ძირითადი რიცხვი, გარდა აღნიშნულისა.

საპენსიო სააგენტოს ხელმძღვანელის ლევან სურგულაძის თქმით, ამ ეტაპზე საპენსიო სააგენტოს სისტემაში 850 ათასი პირია გაწევრიანებული, ხოლო საპენსიო შენატანების სახით, ფონდში 285 მლნ ლარზე მეტია მობილიზებული.

– 285 მლნ ლარი – ესაა საპენსიო ფონდში მობილიზებული თანხა. ეს რიცხვი ყოველდღიურად მზარდია და ასევე სარგებლის სახით 4 მლნ ლარზე მეტია დარიცხული. ამ დროისთვის საპენსიო სისტემა გაწევრიანებულთა 15%-მა დატოვა, – აღნიშნა მან.

BMG

მამუკა ხაზარაძესა და ბადრი ჯაფარიძეს პროკურატურამ ბრალი წაუყენა

ადვოკატი კორძაძე: „ასეთი აბსურდული ბრალის დადგენილება დღემდე არ მინახავს“

თიბისი ბანკის დამფუძნებლებს, სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილ თავმჯდომარესა და მის მოადგილეს, მამუკა ხაზარაძესა და ბადრი ჯაფარიძეს, საქართველოს პროკურატურამ ბრალი წაუყენა.

ამის შესახებ მთავარ პროკურატურაში გუშინ, 24 ივლისს გამართულ ბრიფინგზე განაცხადეს.

ხაზარაძესა და ჯაფარიძეს ბრალი ედებათ ჯგუფურად, 16.754.000 ამერიკული დოლარის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე.

– როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, 2018 წლის 2 აგვისტოს საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ გამოძიება დაიწყო სს „თიბისი ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის და მოადგილის მიერ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე.

მაღალი საჯარო ინტერესის გათვალისწინებით, გვსურს საზოგადოებას ვაცნობოთ, რომ სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში მოპოვებული მტკიცებულებების ანალიზის შედეგად მიღებულია შემაჯამებელი გადაწყვეტილება.

გამოტანილია დადგენილება მამუკა ხაზარაძის და ბადრი ჯაფარიძის ბრალდების შესახებ, მათ მიერ, ჯგუფურად, 16.754.000 ამერიკული დოლარის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება (დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით).

ასევე გვსურს გაცნობოთ, რომ მამუკა ხაზარაძე და ბადრი ჯაფარიძე დღეს დაბარებულნი არიან საქართველოს გენერალურ პროკურატურაში მათთვის ბრალდების შესახებ დადგენილების წარდგენის მიზნით. საქართველოს გენერალური პროკურატურა მ.ხაზარაძისა და ბ.ჯაფარიძისთვის ბრალის წარდგენის შემდეგ სასამართლოს მიმართავს შუამდგომლობით აღკვეთის ღონისძიების შეფარდების თაობაზე.

აღკვეთის ღონისძიების სახის შესახებ ინფორმაციას საზოგადოებას მივაწვდით დამატებით, – განაცხადეს პროკურატურაში.

***

გუშინვე, საღამოს 5 საათზე, მამუკა ხაზარაძე და ბადრი ჯაფარიძე გენერალურ პროკურატურაში მივიდნენ.

ხაზარაძემ ჟურნალისტებს უთხრა, რომ ყველაფერი მიმართულია ანაკლიის პროექტის შეჩერებისკენ.

– სახელმწიფო მანქანა არ აჩერებს თავის მოძრაობას ჩვენ წინააღმდეგ, რომელიც წელიწადზე მეტია გრძელდება. ეს ყველაფერი არის მიმართული ანაკლიის პროექტის გასაჩერებლად. ანალოგიური შემოტევა იყო იანვარში. ჩვენ ამან მოგვაყენა ძალიან სერიოზული ზიანი, როგორც ბანკის აქციონერებს, ისე ანაკლიის პროექტის განხორციელებას.

გუშინ ავირჩიეთ სამშენებლო კომპანია, საეჭვოდ დაემთხვა ერთ-ერთი მინისტრის განცხადება, რომ პროგრესი არაა. დღეს ვიგებთ პროკურატურის განცხადებას ისევ ტელევიზიით, რომ ზიანი მიაყენონ ანაკლიის პროექტს. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ანაკლიის პროექტი ხაზარაძის პროექტია, ძალიან ცდება. ესაა ჩვენი შვილების, მომავალი თაობის პროექტი, ესაა აბსოლუტურად ახალი გზა, გარღვევა, ევროპისკენ გადადგმული მძლავრი ნაბიჯი, – განაცხადა ხაზარაძემ გენერალურ პროკურატურაში შესვლამდე.

მან თქვა, რომ გამოძიებას ამ ტრანზაქციაზე მიაწოდეს სრული ინფორმაცია.

– თქვენ იცით, რომ რამოდენიმე ორგანიზაციამ ჩაატარა ამის გამოკვლევა. ის, რაც დღეს გააჟღერეს, არის აბსოლუტური აბსურდი და ძალიან მრცხვენია, რომ ასეთი პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელში ვართ, – განაცხადა მამუკა ხაზარაძემ.

კითხვას, ელოდება თუ არა დაკავებას, ხაზარაძემ ასე უპასუხა:

– მე არასდროს არაფერს გამოვრიცხავ, მით უმეტეს იმ ქაოსში, რომელიც ქვეყანაშია, სამწუხაროდ.

ამ ქალაქში გავიზარდე და ძალიან ბევრი რამე მინახავს, რომ ასეთი შოუებისთვის გულის ფანცქალი დაგვეწყოს. გუშინ ჩამოვედი, მინდა გითხრათ, რომ ერთი ქართველი დაიბადა, ჩემი შვილიშვილი, სახელად ალექსანდრე. უცხოეთში ვიყავი. გახარებული ჩამოვედი და ეს სიურპრიზი დამხვდა, – განაცხადა ხაზარაძემ.

ნახევარი საათის შემდეგ მამუკა ხაზარაძემ და ბადრი ჯაფარიძემ საგამოძიებო უწყება დატოვეს. თიბისი ბანკის დამფუძნებელმა ჟურნალისტებთან პროკურატურას საბჭოთა პროკურატურა უწოდა.

***

– 1995 წლიდან ვარ ადვოკატი და ასეთი აბსურდული ბრალის დადგენილება დღემდე არ მინახავს, – განაცხადა მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის ადვოკატმა ზვიად კორძაძემ.

მისი თქმით, ბრალის დადგენილებაში წერია, რომ მამუკა ხაზარაძემ და ბადრი ჯაფარიძემ გაათეთრეს თიბისი ბანკის ფული.

– კითხვაზე, რა არის მთავარი არგუმენტი, შემიძლია გიპასუხოთ – არაფერი. ამ ბრალის დადგენილებას, გარდა სათაურისა, არაფერი ფულის გათეთრებასთან საერთო არ აქვს. ეს დოკუმენტი არის პროკურატურის დაცინვა.

ძალიან ცუდია, რომ პროკურატურას და იმ კვალიფიციურ გამომძიებლებს, რომელიც პროკურატურას ჰყავს და ამ საქმეზე მუშაობენ, ასეთი ფორმით გამოაქვთ საბოლოო ჯამში ეს დადგენილება.

კოდექსში წერია, რომ ფულის გათეთრება არის უკანონო ბრუნვაში მყოფი ფულისთვის ლეგალური სახის მიცემა. ბრალის დადგენილებაში წერია, რომ მამუკა ხაზარაძემ და ბადრი ჯაფარიძემ გაათეთრეს თიბისი ბანკის ფული.

ეს პირველი-მეორე კურსის პროგრამაა სტუდენტებისთვის. ვინც ამას ვერ გაცდება, მესამე კურსზე ვერ გადადის. მუხლი, რომელიც დარჩა, არის ფულის გათეთრება. არავითარი საერთო ამ შემთხვევას ფულის გათეთრებასთან არ აქვს, – განაცხადა ადვოკატმა.

***

მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე სასამართლო, სავარაუდოდ, დღეს, 25 ივლისს, იმსჯელებს.

თუ რა პოზიცია ექნება სახელმწიფო ბრალდებას ხაზარაძისა და ჯაფარიძის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან დაკავშირებით და მოითხოვს თუ არა პროკურატურა მათ პატიმრობას, ჯერ უცნობია.

ქიბარ ხალვაშმა ექსპერტიზის ბიუროში ხელმოწერის ნიმუში დატოვა

გუშინ, 24 ივლისს, „რუსთავი 2“-ის მეპატრონე ქიბარ ხალვაში ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში საკუთარი ხელმოწერის ნიმუშის დასატოვებლად მივიდა.

ბიუროსთან ხალვაში ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებას გამოეხმაურა იმის თაობაზე, რომ ხალვაში დიდი ხანია ხელმოწერის ნიმუშის ჩაბარებაზე უარს აცხადებს.

– ვინც ამას ლაპარაკობს, იმაზე სამარცხვინო კაცი არ დადის ქვეყანაში, – აღნიშნა ხალვაშმა.

ექსპერტიზიდან გამოსულმა ხალვაშმა ასეთი განცხადება გააკეთა:

– რა მითხრეს, იცით?! ჩვენ გავაკეთებთ ხელმოწერის ანალიზსო და მხოლოდ მაშინ ჩაგბარდება, როცა ფულს გადაიხდიო. ახლა ოქრუაშვილისგან ველოდები რამე ძღვენს, რომ მივიდე, ადრე გადავიხადო და მიიღოს პასუხი. შემიძლია, გვიან გადავიხადო.

საქმე ეხება ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებას იმის თაობაზე, რომ „რუსთავი 2“-ის მესაკუთრე თავადაა, რისი დამადასტურებელი საბუთიც გააჩნია.

ოქრუაშვილის მტკიცებით, საბუთს ხელს ხალვაში აწერს.

თავდაცვის ყოფილი მინისტრი ხელმოწერის ნამდვილობის დასადასტურებლად ხალვაშისგან ექსპერტიზის ბიუროში მისვლას ითხოვდა.

ნინო ლომჯარია: „ქიბარ ხალვაშს რუსთავი 2-ის გადაფორმებით კანონი არ დაურღვევია“

სახალხო დამცველ ნინო ლომჯარიას განცხადებით, ქიბარ ხალვაშს კანონი არ დაურღვევია, როდესაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დროებითი ღონისძიების გაუქმების შემდეგ „რუსთავი 2“-ის საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება მოითხოვა.

– რა თქმა უნდა, სტრასბურის გადაწყვეტილება, ზოგადად, ძალაში შედის მას შემდეგ, რაც გასაჩივრების ვადა გადის და ეს ამ შემთხვევაშიც ასეა. თუმცა, საქმე ეხებოდა დროებითი ღონისძიების გაუქმებას, ანუ გადაწყვეტილებას, რომელიც მიიღო სტრასბურმა აი, ამ საბოლოო გადაწყვეტილებისგან დამოუკიდებლად. მან მოხსნა დროებითი ღონისძიება, რამაც ახალ მესაკუთრეს მისცა შესაძლებლობა, რომ მოეთხოვა დაუყოვნებლივი აღსრულება. შეიძლება ვისაუბროთ მიზანშეწონილობაზე – რა შეიძლება ყოფილიყო უკეთესი, თუმცა, ამ შემთხვევაში, იმაში, რომ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება მოითხოვა ახალმა მესაკუთრემ, კანონის დარღვევა ვერ დავინახეთ, – განაცხადა ნინო ლომჯარიამ.

18 ივლისს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ, ბიზნესმენმა ქიბარ ხალვაშმა საჯარო რეესტრს საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება ჩააბარა და ტელეკომპანიის 60%-იანი წილის მფლობელად მისი, ხოლო 40%-იანი წილის მფლობელად მისივე კუთვნილი კომპანიის „პანორამის“ დარეგისტრირება მოითხოვა.

ამის შემდეგ, იმავე დღეს, შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის პარტნიორთა კრება გაიმართა. კრების გადაწყვეტილებით, ნიკა გვარამია გათავისუფლდა ტელეკომპანიის დირექტორის თანამდებობიდან და დირექტორად პაატა სალია დაინიშნა.

2017 წლის 2 მარტს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ „რუსთავი 2“ ქიბარ ხალვაშსა და მის კომპანია „პანორამას“ მიაკუთვნა.

3 მარტს ტელეკომპანიამ და მისმა მფლობელებმა სტრასბურის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართეს.

სტრასბურის სასამართლომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე დროებითი ღონისძიება გამოიყენა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება შეაჩერა.

დროებითი ღონისძიება 2019 წლის 18 ივლისს გაუქმდა.

მიხეილ კალანდია ბრალს არ აღიარებს

სხდომა დაიხურა

გუშინ, 24 ივლისს, საქალაქო სასამართლოში ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმეზე დაკავებული მიხეილ კალანდიას პროცესი გაიმართა.

სასამართლო სხდომა დაიხურა. მოსამართლემ შესაბამისი გადაწყვეტილება პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე მიიღო.

გუშინ საქმის არსებითი განხილვა დაიწყო.

სხდომის დახურვამდე მიხეილ კალანდიამ სასამართლო პროცესზე განაცხადა, რომ წარდგენილ ბრალდებას არ აღიარებს. მოსამართლის კითხვაზე, დაირღვა თუ არა მისი უფლებები, კალანდიამ აღნიშნა, რომ არ დარღვეულა.

კალანდიას ადვოკატი ანა კოტეტიშვილი საქმეში მტკიცებულებების არარსებობაზე საუბრობს.

გამოძიება მიხეილ კალანდიას დამამძიმებელ გარემოებაში ჯგუფურად განზრახ მკვლელობაში მონაწილეობას ედავება.

ბათუმის მერიის ყოფილი მაღალჩინოსნები სასამართლო პატიმრობაში დატოვა

ბათუმის საქალაქო სასამართლომ მერიის ყოფილი მაღალჩინოსნები პატიმრობაში დატოვა.

სხდომას შვიდივე ბრალდებული ესწრებოდა, მათ შორის, ბათუმის ყოფილი მერი გიორგი ერმაკოვიც.

დაკავებულების უფლებადამცველები საქმეში მტკიცებულებების არარსებობაზე საუბრობენ.

პროცესზე ერთ-ერთი ბრალდებულის, გოგა ლომიძის ადვოკატმა სკანდალური განცხადებაც გააკეთა. რამინ პაპიძის მტკიცებით, უკრაინულმა კომპანიამ თანხა მიითვისა და პროკურატურა მოისყიდა. ბრალდებას პროკურატურის წარმომადგენლები კატეგორიულად უარყოფენ.

ბათუმის საქალაქო სასამართლოსთან, პარალელურად, ბათუმის საქალაქო სასამართლოსთან ერთ-ერთი დაკავებულის, აჭარის ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრის მოადგილის, არჩილ ვანაძის ოჯახის წევრები და ახლობლები აქციას მართავდნენ.

ისინი ვანაძის გათავისუფლებას ითხოვდნენ.

სვანეთში ჩინელი გოგონა მანქანიანად ხევში გადავარდა და დაიღუპა

ჯვარი-მესტიის ცენტრალურ გზაზე ავტოსაგზაო შემთხვევას ტურისტი ემსხვერპლა.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, დაღუპული 1996 წელს დაბადებული გოგონაა, რომელიც ჩინეთის მოქალაქეა.

შსს-ს ინფორმაციით, ტურისტი თავად მართავდა მანქანას, როდესაც ლახანის მონაკვეთთან გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა, ხევში გადავარდა და ადგილზე დაიღუპა.

შემთხვევა 23 ივლისს, გვიან ღამით მოხდა. მაშველებმა ცხედარი ხევიდან ღამითვე ამოიყვანეს და პროზექტურაში გადაასვენეს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

ჩინელი ტურისტი საქართველოში ერთი თვის განმავლობაში იმყოფებოდა. ის სხვადასხვა რეგიონში მოგზაურობით იყო დაკავებული.

ვინ არის ბორის ჯონსონი, ბრიტანეთის ახალი პრემიერი

მისი დიდი პაპა თურქი იყო, ბებია – ჩერქეზი

ბრიტანეთს ახალი პრემიერი ჰყავს. ტერეზა მეი ბორის ჯონსონმა შეცვალა.

ჯონსონი ბრექსიტის თავგამოდებული მომხრეა.

– ან მივაღწევ იმას, რომ ბრექსიტი ნაჩქარევ ვადებში განხორციელდება, ან მოვკვდები, – აცხადებს ჯონსონი.

ბრიტანეთის ახალ პრემიერი ფრიად კოლორიტული წარმოშობისაა. მისი დიდი პაპა თურქი იყო და ოსმალეთის იმპერიის უკანასკნელ დიდ ვეზირს ემსახურებოდა. მან სახელი გაითქვა იმით, რომ ათათურქის დაპატიმრებას ხელი მოაწერა. დემოკრატიული რევოლუციისა და ათათურქის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ის შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს. მომავალი პრემიერის ბაბუაც ნიუ იორკში გადასახლდა.

ჯონსონის ბებია წარმოშობით ჩერქეზი იყო.

ბრიტანეთის მომავალი პრემიერი 1964 წელს ნიუ იორკში დაიბადა. ბავშვობისას მშობლებთან ერთად ინგლისში გადასახლდა. საშუალო განათლებაც აქ მიიღო.

ჯონსონმა დაამთავრა ოქსფორდის უნივერსიტეტთან არსებული ბალტიმორის კოლეჯი. შემდეგ ერთხანს ჟურნალისტად მუშაობდა.

როგორც პოლიტიკოსმა, თავი გამოიჩინა ლონდონის მერის პოსტზე ყოფნისას. ჯონსონი ბრექსიტის ერთ-ერთი უმთავრესი იდეოლოგი გახლდათ. ის ფაქტი, რომ ბრიტანეთში ბრექსიტთან დაკავშირებით რეფერენდუმი ჩატარდა, სწორედ ჯონსონის დამსახურებაა.

ხელისუფლებაში ტერეზა მეის მოსვლის შემდეგ ჯონსონი საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა. ამ დანიშვნამ ბევრი შეაშფოთა, რუსი პოლიტოლოგი სერგეი მარკოვი წერდა:

– ამიერიდან დიდი ბრიტანეთი არა აშშ-ის, არამედ რუსეთის მეგობარი იქნება!

რუსები შეცდნენ. საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე მუშაობისას ჯონსონის პოზიცია რუსეთისადმი მკაცრი და ხისტი იყო, ბევრად უფრო ხისტი, ვიდრე მისი წინამორბედისა.

ახლა ჯონსონი პრემიერი გახდა. ის ბრექსიტის ბოლომდე მიყვანას აპირებს.

აშშ-ის პრეზიდენტი ტრამპი ჯონსონის კონსერვატორული პარტიის ლიდერად არჩევას მიესალმა.

უკრაინეთის ყოფილი პრეზიდენტი ატამბაევი მოსკოვში გაიქცა



ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტი ალმაზბეკ ატამბაევი ქალაქ კანტში განლაგებული რუსული ავიაბაზიდან მოსკოვში გაფრინდა.

მას სპეციალური თვითმფრინავი რუსეთიდან გაუგზავნეს.

ის ასობით მომხრემ გააცილა, თუმცა ავიაბაზის ტერიტორიაზე მხოლოდ ექსპრეზიდენტის კორტეჟი შეუშვეს 5 მანქანის შემადგენლობით.

მან რამდენიმე დღის წინ განაცხადა, რომ მოსკოვში გაფრენას გეგმავდა, თუმცა კონკრეტული მიზნები საიდუმლოდ შეინახა.

მისმა მრჩეველმა კუნდუზ ჟოლდუბაევამ (ისიც პრეზიდენტთან ერთად გაფრინდა) „ფეისბუკზე“ დაწერა, რომ იგეგმება შეხვედრები „უმაღლეს დონეზე“.

წინა კვირაში ატამბაევი დაკითხვაზე მესამედ მიიწვიეს შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარ საგამოძიებო სამმართველოში, ჯერჯერობით მოწმის სტატუსით.

ექსპრეზიდენტმა სამივე უწყება უგულებელყო, განაცხადა, რომ „ხელსაც არ მოჰკიდებს“.

მესამე უარის შემდეგ სამართალდამცავებს მისი დაკითხვაზე იძულებით მიყვანის უფლება აქვთ, თუმცა ამის მცდელობა არ ჰქონიათ. ატამბაევის მიერ ქვეყნის დატოვებაზე რაიმე შეზღუდვა არ არსებობს.

ივნისში ატამბაევს პარლამენტმა იმუნიტეტი მოუხსნა. ის რამდენიმე სერიოზულ დანაშაულშია ეჭვმიტანილი და მათი დამტკიცების შემთხვევაში სამუდამო პატიმრობა ემუქრება.

მის ქალაქგარე რეზიდენციას თვეზე მეტია, ასობით მომხრე იცავდა და იქვე კარვებში ჟურნალისტების შტაბიც იყო მობილიზებული.

ზელენსკი: „დონბასის ავტონომია გამორიცხულია!“

უკრაინის პრეზიდენტმა ვლადიმერ ზელენსკიმ განაცხადა, რომ უკრაინის ფედერალიზაცია დაუშვებელია.

– დონბასის ავტონომია გამორიცხულია! ასევე გამორიცხულია სეპარატისტი მებრძოლების ამნისტიაც, – თქვა ზელენსკიმ.

პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ უკრაინაში დღეს სამი ძალა არსებობს. კაპიტულანტთა პარტიას ვიქტორ მედვედჩუკი უდგას სათავეში; ომისას – ექსპრეზიდენტი პოროშენკო; მისი, ზელენსკის ორგანიზაცია „ხალხის მსახური“ კი ჭეშმარიტი მშვიდობისთვის იბრძვის.

– მშვიდობა კაპიტულაციას არ ნიშნავს! დიახ, ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რათა საომარი მოქმედებები შეწყდეს, მაგრამ ეს ნებისმიერ ფასად არ მოხდება! – განაცხადა ზელენსკიმ.

აშშ-ის სენატმა მარკ ესპერი თავდაცვის მდივნის პოსტზე დაამტკიცა

ამერიკის შეერთებული შტატების სენატმა თავდაცვის მდივნის თანამდებობაზე მარკ ესპერი დაამტკიცა.

მის კანდიდატურას 90-მა სენატორმა დაუჭირა მხარი, 8 წინააღმდეგი იყო.

ესპერი ორივე პარტიის სრული მხარდაჭერით სარგებლობს. მან უკვე დადო ფიცი პრეზიდენტ დონალდ ტრამპის თანდასწრებით, რომელმაც ის ამ პოსტზე წარადგინა.

მარკ ესპერი დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში თავდაცვის მდივნის მოვალეობის შემსრულებელი იყო.

თავდაცვის მდივნის თანამდებობა 7 თვე იყო ვაკანტური, მას შემდეგ, რაც ტრამპთან საგარეო და თავდაცვით პოლიტიკასთან უთანხმოების გამო ჯეიმს მეტისი პოსტიდან გადადგა.

პენტაგონის ხელმძღვანელის თანამდებობა ამდენ ხანს ვაკანტური ბოლო 70 წლის განმავლობაში არ ყოფილა.

მარკ ესპერი ყოფილი სამხედროა. ის მონაწილეობდა სპარსეთის ყურის პირველ ომში, როდესაც აშშ-მ საერთაშორისო კოალიციასთან ერთად ერაყის მიერ დაკავებული კუვეიტი გაათავისუფლა.

სენატში მოსმენის დროს მარკ ესპერმა ხაზი გაუსვა, რომ ქვეყნის შეიარაღებულმა ძალებმა ერთდროულად რამდენიმე მიზანს უნდა მიაღწიონ – მოდერნიზაციას, რომ მზად იყვნენ კონკურენციის ახალი ეპოქისთვის მსხვილ სუპერსახელმწიფოებთან, უნდა ინარჩუნებდნენ ტერორისტულ ორგანიზაციებთან და გარიყულ სახელმწიფოებთან გამკლავების უნარს და ასევე აშშ-ის მოკავშირეებთან მჭიდრო თანამშრომლობა უნდა გააგრძელონ.

ჩრდილოეთ კორეაში რუსული გემი დააკავეს

მეზღვაურები კაიუტებში ჩაკეტეს

ჩრდილოკორეელმა მესაზღვრეებმა იაპონიის ზღვაში რუსული თევზსაჭერი გემი „სიანხაილინ-8“ დააკავეს, რომლის ბორტზეც 17 ადამიანი იმყოფება.

ფხენიანში მდებარე რუსეთის საელჩოს განცხადებით, სიტუაციის დასარეგულირებლად ზომების მიღება მიმდინარეობს. ინციდენტი 16-17 ივლისის ღამეს მოხდა, თუმცა ცნობილი ამის შესახებ მხოლოდ 23 ივლისს გახდა.

გემი ნაპირიდან 53 მილში დაუკავეს და ის ბუქსირით ვონსანის პორტში წაიყვანეს.

ჩრდილოეთ კორეის სასაზღვრო სამსახურის განცხადებით, გემმა საზღვარი დაარღვია და დაცულ ტერიტორიაზე ნებართვის გარეშე შევიდა.

ბორტზე მყოფი 17 ადამიანიდან 15 რუსეთის, 2 კი სამხრეთ კორეის მოქალაქეა. გემის კაპიტანი, მისი თანაშემწე და 2 სამხრეთკორეელი მეზღვაური სასტუმროებში განათავსეს, ეკიპაჟის დანარჩენი წევრები კი კაიუტებში ჰყავთ გამოკეტილი და გემბანზე არ უშვებენ.

გემის მფლობელი კომპანიის თქმით, გემზე მყოფებს მალე წყალი და პროდუქტები გაუთავდებათ.

რუსეთის დუმის ყოფილმა დეპუტატმა აშშ-ში პოლიტიკური თავშესაფარი მოითხოვა

რუსეთის დუმის ყოფილმა დეპუტატმა კონსტანტინ ბოროვოიმ აშშ-ში პოლიტიკური თავშესაფარი მოითხოვა.

მან ეს გადაწყვეტილება იმ მუდმივი თვალთვალის გამო მიიღო, რომელიც მასზე იყო დაწესებული რუსეთში.

მან თქვა, რომ რამდენიმე წლის წინ მას მუდმივად დაჰყვებოდა ავტომანქანა. მაშინ მან სთხოვა უსაფრთხოების თანამშრომლებს, შეემოწმებინათ ინფორმაცია შესაძლო თვალთვალის შესახებ და მათ ეს დაუდასტურეს.

ამის გამო 2014 წლის დეკემბერში ბოროვოი ლოს ანჯელესში დასახლდა.

– 2015 წელს კი მოკლეს ბორის ნემცოვი, ამიტომ, როცა ახლა განახლდა პროფესიულ დონეზე თვალთვალი, მე გადავწყვიტე, მოვითხოვო პოლიტიკური თავშესაფარი, – განაცხადა პოლიტიკოსმა.

ბოროვოიმ აღნიშნა, რომ თავშესაფრის მიღების შემთხვევაში ვერ შეძლებს რუსეთში რამდენიმე წლის განმავლობაში ჩასვლას. მან დაამატა, რომ მოუხდება სამუშაოს მოძებნა – ის ან ლექციებს წაიკითხავს, ან ბიზნესს წამოიწყებს.

1990-1992 წლებში ბოროვოი იყო რუსეთის სასაქონლო ბირჟის პრეზიდენტი. ამ წლებში მან შექმნა ეკონომიკური თავისუფლების პარტია. 1993 წელს ამ პარტიის წევრი ირინა ხაკამადა რუსეთის დუმის დეპუტატი გახდა.

თავად ბოროვოი დუმის წევრი 1995-2000 წლებში იყო. 2013 წელს მან პოლიტიკაში დაბრუნება ცადა და ვალერია ნოვოდვორსკაიასთან ერთად შექმნა პარტია „დასავლური არჩევანის“ საორგანიზაციო კომიტეტი.

2014 წელს ნოვოდვორსკაია გარდაიცვალა და პროექტიც შეჩერდა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

განცხადებები

სხვადასხვა

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ფოტოსურათით მოგიხსნით აგრესიას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, თვითმკვლელობის სურვილს, შფოთიან ძილს, ალკოჰოლიზმს, აზარტული თამაშების სურვილს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აკვიატებებს, უიმედობას, ჯადო-თვალი-წყევლას. ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-49-84-23.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკობიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

საბურთალო ზაგრების დინამოს ვერ მოერია

საბურთალო-დინამო (ზ) 0:2

თბილისი. მიხეილ მესხი

0:1 ორსიჩი (67), 0:2 პეტკოვიჩი (78პ)

საბურთალო: მიგინეიშვილი, მალი, მარგველაშვილი, ლაკვეხელიანი, რეხვიაშვილი, გონსალვესი, დიასამიძე (ცნობილაძე 82), ტერა (კაკუბავა 57), ალთუნაშვილი (გაბედავა 70), როლოვიჩი, კოხრეიძე

დინამო: ლივაკოვიჩი, ადემი, პინტო (შიტუმი 50), ლეშკოვიჩი, პერიჩი, ჰაიროვიჩი, გავრანოვიჩი (პეტკოვიჩი 68), გოიაკი (სუნინჩი 86), ლეოვაცი, კაძიორი, ორსიჩი

ჩემპიონთა ლიგის მე-2 საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ შეხვედრაში საქართველოს ჩემპიონმა საბურთალომ თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის არენაზე, ვერაფერი გააწყო რთულ მეტოქესთან, ზაგრების დინამოსთან და 0:2 დამარცხდა.

ვერ ვიტყვით, რომ საბურთალოს არ მოუნდომებია. გუნდმა იბრძოლა და რაც შეეძლო, გააკეთა. თუმცა, კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ საშუალო ევროპული დონის გუნდებამდე ბევრი გვიკლია.

საბურთალო ახლა ფორმის პიკშია, ხოლო ხორვატიაში სეზონი ახლა დაიწყო და ფეხბურთელები ჯერ ტონუსში არ არიან. თუ ამას დავუმატებთ იმასაც, რომ დინამო საქართველოს დედაქალაქში არცთუ ოპტიმალური შემადგენლობით იყო ჩამოსული, სხვაობა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდება.

საბურთალომ ითამაშა ფეხბურთი. დასაკარგი არც არაფერი ჰქონდა და ალბათ იმის მოთხოვნა, რომ გიორგი ჭიაბრიშვილის გუნდს ზაგრების დინამო უნდა გაეგდო, უტოპია იყო. ხორვატებმა მშვიდად აკონტროლეს თამაში, საბურთალოელთა შეტევებსაც მშვიდად, პანიკის გარეშე ხვდებოდნენ და ალბათ მხოლოდ ერთხელ ანერვიულდნენ, როდესაც ოგნიენ როლოვიჩის თავური დარტყმა ლივაკოვიჩმა საოცარი რეაქციით მოიგერია. ამ დროს ანგარიში ჯერ კიდევ 0:0 იყო.

გიორგი ჭიაბრიშვილმა მატჩისწინა პრესკონფერენციაზე მიცემული პირობა შეასრულა და მისმა გუნდმა საწყისი წუთებიდანვე თამაში აქტიური შეტევებით დაიწყო. საბურთალომ მეტოქეს ბურთი „დაუმალა“ და ხორვატებმა მასპინძელთა ნახევარზე კომბინაცია პირველად შეხვედრის მე-17 წუთზე გაათამაშეს.

საბურთალოს არც საწყისი ტალღის გადავლის შემდეგ მოუკლია. თბილისურმა კლუბმა ბურთი შეინარჩუნა და ორგანიზებული შეტევების განხორციელებას ცდილობდა. თავის მხრივ, დინამოს კონტრშეტევები უფრო და უფრო მწვავე ხდებოდა, თუმცა მცდელობას არც საბურთალო აკლებდა. 37-ე წუთზე, საბურთალომ კარში დაარტყა – შორიდან გიორგი დიასამიძემ გაისროლა, თუმცა მეკარეს პოზიცია ზუსტად ჰქონდა შერჩეული.

თამაშის სცენარი არც მე-2 ნახევრის სტარტზე შეცვლილა, პირიქით, საბურთალომ კიდევ უფრო მოუმატა და 52-ე წუთზე შეხვედრის ყველაზე რეალური ეპიზოდიც შექმნა, რომელზეც უკვე გითხარით.

ნელ-ნელა ინიციატივა ხელში სტუმრებმა აიღეს და საბურთალოს კარს აქტიურად შეუტიეს. 67-ე წუთზე, დინამოს მორიგ შეტევას ჰაიროვიჩის ჩაწოდება მოჰყვა, ბურთს თავი ორსიშჩმა შეაგება, რომელმაც ნიკა მალის დაასწრო და ანგარიში გახსნა.

გაშვებულ გოლის შემდეგ საბურთალოს ფეხბურთელები არ დაბნეულან, როგორც ეს შერიფთან მატჩში დაემართათ. ჭიაბრიშვილმა შეტევა გააძლიერა და მოედანზე გიორგი გაბედავა შემოუშვა, მაგრამ...

77-ე წუთზე, საკამათო ეპიზოდში მასპინძელთა კარში 11-მეტრიანი დანიშნა. პენალტი ზუსტად ბრუნო პეტკოვიჩმა შეასრულა – 0:2.

სამწუხაროდ, შეხვედრაში აღარაფერი შეცვლილა და საბურთალომ საშინაო კედლებში 2-ბურთიანი სხვაობით წააგო.

საპასუხო მატჩი ხორვატიაში 30 ივლისს შედგება, სადაც თბილისელებს მიზერული შანსი ექნებათ.

დინამო გაბალაში რევანშისთვის მიდის

დღეს თბილისის დინამო ევროპა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე აზერბაიჯანულ გაბალას დაუპირისპირდება.

პირველ რაუნდში თბილისურმა კლუბმა ანდორული ენგორდანის ბარიერი მარტივად გადალახა, მეტოქეს 2 მატჩის ჯამში 7:0 სძლია და შემდეგ ეტაპზე დამსახურებულად გავიდა.

გაბალა წინა ოპონენტთან შედარებით ბევრად ძლიერი კლუბია, თუმცა მისი დამარცხება დინამოს შეუძლია. მთავარია სწორი ფეხბურთის თამაში.

ვნახოთ, რა გუნდია გაბალა, რომელსაც დინამო 2015 წელს ევროპის ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე შეხვდა და 2 მატჩის ჯამში დამარცხდა.

პირველი მატჩი თბილისში დინამომ მოიგო. გიორგი გველესიანის გაგდების შემდეგ კაცნაკლულმა დინამოელებმა ჯაბა ჯიღაურის გოლით გახსნეს ანგარიში, რომელიც ცავიდ ჰუსეინოვმა გაქვითა, მაგრამ მატჩის მიწურულს გიორგი პაპუნაშვილმა გამარჯვების გოლი გაიტანა.

ერთი კვირის შემდეგ დინამო ახლოს იყო საერთო გამარჯვებასთან. გაბალაშიც კაცნაკლულმა გუნდმა (ლაშა თოთაძე გააძევეს) ბოლომდე იბრძოლა, მაგრამ 88-ე წუთზე ასიფ მამადოვმა გაიტანა გოლი, რომელსაც შემდეგ ეტაპზე მასპინძლები გაჰყავდა. შეტევაში წასულ დინამოს მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში ოლეკსეი ანტონოვმაც გაუტანა. სხვათა შორის, გაბალამ შემდეგ ტურნირიდან გამოთიშა სერბული ჩუკარიჩკი, კვიპროსული აპოელი, ბერძნული პანათინაიკოსი და ჯგუფში გავიდა, სადაც დორტმუნდთან, კრასნოდართან და პაოკთან მხოლოდ 2 ქულა აიღო და ბოლო ადგილზე გავიდა. თუმცა, ევროპის ლიგის ჯგუფში მოხვედრა, აზერბაიჯანულ გუნდს დიდ წარმატებად უნდა ჩავუთვალოთ.

ერთია, მაშინდელი გუნდის შედარება დღევანდელთან, არ შეიძლება. ამ მომენტისათვის აზერბაიჯანული კლუბის რიგებში 19 ფეხბურთელი ირიცხება. მათ შორის 6 უცხოელია. გაბალამ ბოლო პერიოდში რამდენიმე ახალი ფეხბურთელი დაიმატა, მათ შორის, ქართველი გულშემატკივრისთვის კარგად ნაცნობი მერაბ გიგაური, რომელიც კლუბს ქუთაისის ტორპედოდან შეუერთდა. გაბალაშია კიდევ ერთი ქართველი ფეხბურთელი დავით ვოლკოვიც, რომელიც ბოლოს ბოლნისის სიონში თამაშობდა.

დინამოს მომავალი მეტოქე ბოლოს ხორვატი ცენტრალური მცველით, ივიცა ზუნიჩით შეივსო, რომელიც მანამდე ყაზახურ ატირაუში თამაშობდა. გაბალას შეუერთდა ესპანელი ფერნან ფერეიროაც, რომელიც მთელი კარიერის განმავლობაში ესპანეთის დაბალ ლიგებში ასპარეზობდა. კლუბის ღირსებას დაიცავს კოტდივუარელი შემტევი კრისტიან კუაკუ და მოზამბიკელი კლესიო ბოკე. პირველ მათგანს საფრანგეთის ლიგა 1-ის გამოცდილება უმაგრებს ზურგს, მეორეს კი საბერძნეთისა და თურქეთის უმაღლეს ლიგებში უთამაშია.

გაბალას ფეხბურთელების ერთიანი სატრანსფერო ღირებულება 3.60 მილიონი ევროა, მაშინ, როდესაც დინამოს ყველა მოთამაშე ერთად 6.70 მილიონი ევრო ღირს.

აზერბაიჯანული კლუბის ყველაზე ძვირად შეფასებული მოთამაშე ზემოთ ნახსენები ივიცა ზუნიჩია, რომელიც 350.000 ევრო ღირს. დინამოს ყველაზე ძვირფასი ფეხბურთელი ლევან შენგელია ნახევარ მილიონადაა შეფასებული.

ორივე კლუბი ახალგაზრდული შემადგენლობითაა დაკომპლექტებული. დინამოს ფეხბურთელთა საშუალო ასაკი 24,2 წელია, გაბალასი – 25,4.

აზერბაიჯანში სეზონი ჯერ არ დაწყებულა, გასულ წელს კი გაბალამ ჩემპიონატში მე-4 ადგილი დაიკავა, ჩემპიონ ყარაბაღს 20 ქულით ჩამორჩა.

გაბალა დიდი ისტორიის გუნდი არ არის – 1995 წელს დაარსდა და სახელი ორჯერ შეეცვალა. თავდაპირველად გოი გიოლი ერქვა, 2005 წლიდან გილანი დაერქვა, 2007-დან კი არსებული სახელით ასპარეზობს. გაბალას საშინაო არენა „სითი სთედიუმია“, რომელიც 4.500 ადამიანს იტევს.

გაბალა პატარა ქალაქია, რომელსაც თავდაპირველად ქუტკაშენი ერქვა. ახალი სახელწოდება მან აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ მიიღო.

2013 წლის აღწერის მიხედვით, იქ 13.000 ადამიანი ცხოვრობს.

ახალი ფეხბურთელები დინამოსაც ჰყავს, თუმცა გუნდის ძირითადი ბირთვი უკვე ნახევარი სეზონია ერთად ასპარეზობს. პირდაპირ ვიტყვით, დინამომ ეს ბარიერი უნდა გადალახოს, რადგან მეტოქე არაფრით აღემატება.

რა გაკვეთილს მოუმზადებს ფრუიძე მასწავლებლებს

ევროპის ლიგაზე საჩხერის ჩიხურას დიდი ისტორიის გუნდი შეხვდა – შოტლანდიური აბერდინი, რომელიც ამავე სახელწოდების ქალაქში 1903 წელს დაარსდა.

აბერდინი პატარა ქალაქია და დაახლოებით 200.000 ადამიანი ცხოვრობს. თუმცა, შოტლანდიაში სიდიდით მე-3 ქალაქია გლაზგოსა და ედინბურგის შემდეგ.

ქალაქიც ისტორიულია და უძველესი. აბერდინის თანამედროვე ტერიტორიაზე მოსახლეობა ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 6.000 წლის წინ ცხოვრობდა. ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-4 საუკუნეში აბერდინის ტერიტორიაზე კელტები დასახლდნენ, ხოლო ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2.000 წლით თარიღდება აბერდინშირში აღმოჩენილი ქვის წრეები.

ქალაქის ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობა „პითოდრის“ სტადიონი გახლავთ, რომელიც, 20.000 ადამიანზეა გათვლილი. „პითოდრი“ 1899 წელს ააშენეს და ის იყო პირველი სტადიონი, რომელსაც სათადარიგო ფეხბურთელებისა და მწვრთნელის ზონა ჰქონდა.

საფეხბურთო კლუბ აბერდინს რამდენიმე მეტსახელი აქვს. პირველი ესაა მასწავლებლები (დონს), რომელიც დაკავშირებულია საუნივერსიტეტო ქალაქთან. ასევე, არსებობს ვერსია, რომ ეს მეტსახელი მდინარე დონის გამო ჰქვიათ.

აბერდინის ფანკლუბის სახელი კი „წითელი არმია“ გახლავთ, რაც კლუბის ფერებიდან გამომდინარეობს. აღსანიშნავია, რომ მოწინააღმდეგეები აბერდინს „ცხვრებს“ ეძახიან, ხოლო აბერდინის ფანებს ადამიანებს, რომლებსაც ცხვრებთან სექსი აქვთ.

აბერდინი შოტლანდიის ჩემპიონი 4-ჯერ გახდა. უკანასკნელად 1984-85 წლების სეზონში და ამ შედეგით არის ბოლო გუნდი, სელტიკისა და რეინჯერსის შემდეგ, რომელმაც ჩემპიონატის მოგება მოახერხა.

აბერდინმა 4 ჩემპიონობიდან 3 მაშინ მოიგო, როცა კლუბს სერ ალექს ფერგიუსონი წვრთნიდა. გარდა ამისა, ფერგიუსონის ხელმძღვანელობით კლუბმა 1983 წელს ევროპის თასების მფლობელთა თასი მოიგო და ევროპის სუპერთასიც მიაყოლა. უკანასკნელი ტიტული, რომელიც აბერდინმა მოიპოვა, შოტლანდიის ლიგის თასია და ეს 2013-14 წლების სეზონში მოხდა.

რაც შეეხება ბოლო შედეგებს ევროთასებზე: აბერდინი მხოლოდ ევროპა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ასპარეზობს და დიდი წარმატებებით არ გამოირჩევა. პირველად და უკანასკნელად ევროპა ლიგაზე (უეფას თასზე) გუნდი 2007 წელს იყო და ჯგუფში მადრიდის ატლეტიკო, პანათინაიკოსი, კოპენჰაგენი და მოსკოვის ლოკომოტივი ჰყავდათ და მე-3 ადგილზე გავიდა. მას შემდეგ შოტლანდიური გუნდი ჯგუფურ ეტაპზე არ მოხვედრილა და მხოლოდ საკვალიფიკაციო ეტაპით კმაყოფილდებოდა.

წლევანდელ ევროპა ლიგაზე, ჩიხურას მსგავსად, ორივე შეხვედრა 2:1 მოუგო ფინურს როპსს. შეგახსენებთ, ჩიხურამ ანალოგიური ანგარიშებით დაამარცხა ლუქსემბურგული ფოლა ეში.

გუნდის მთავარი მწვრთნელი შოტლანდიელი დერეკ მაკინესი გახლავთ. აბერდინის შემადგენლობაში 26 ფეხბურთელი ირიცხება და მათი საშუალო ასაკი 25.7 წელი გახლავთ. 26-დან 15 ფეხბურთელი უცხოელია. მათი საერთო სატრანსფერო ფასი 11.750.000 ევროა.

აბერდინის ფეხბურთელებიდან 4 ეროვნული ნაკრების წევრია. ყველაზე გამოცდილი ნაიელ მაქგინია, რომელსაც ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებში 54 თამაში აქვს ჩატარებული. 22 წლის სკოტ მაქქენა შოტლანდიის ნაკრების წევრია და ეროვნულ გუნდში უკვე 12 შეხვედრა ჩაატარა.

ბარნლიდან ახალმოსულ 24 წლის რაიან ჰეჯსს უელსის ნაკრების 3 შეხვედრაში აქვს მონაწილეობა მიღებული. 25 წლის მაიკლ დეევლინი შოტლანდიის ნაკრებში იყო გამოძახებული, მაგრამ არ უთამაშია.

გუნდის ყველაზე ძვირფასი ფეხბურთელი 23 წლის თავდამსხმელი ჯეიმს უილსონი გახლავთ, რომელიც მანჩესტერ იუნაიტედის აღზრდილია და 2014 წელს, პრემიერლიგის სადებიუტო შეხვედრაში ქუინზ პარკ რეინჯერსის წინააღმდეგ დუბლი შეასრულა. თუმცა მას შემდეგ მანჩესტერის შემადგენლობაში სულ 2 გოლი გაიტანა. რამდენიმე გუნდში განათხოვრების მერე კი, ბოლოს აბერდინში აღმოჩნდა, სადაც გასული სეზონის 24 ჩატარებულ შეხვედრაში 4 გოლი გაიტანა.

ჩიხურას საზომებით, აბერდინი ძლიერი გუნდია. თუმცა, თუ ზემოიმერული გუნდის ევროპულ ისტორიას გადავხედავთ, აბერდინზე უფრო ძლიერი და ძვირადღირებული გუნდებიც გაუგდია ევროპა ლიგიდან.

აბერდინი ტიპურ ბრიტანულ ფეხბურთს თამაშობს, ხისტად, ბევრი სირბილითა და ბევრი ჩაწოდებით. ჩიხურას უპირატესობა ტექნიკური ფეხბურთი და კომბინაციური თამაშია.

ვნახოთ, რას მოიფიქრებს საჩხერელთა მწვრთნელი სოსო ფრუიძე, რომელსაც ბევრჯერ გავუოცებივართ.

2-მატჩიანი დაპირისპირების პირველი შეხვედრა თბილისში დღეს „დინამო არენაზე“ გაიმართება და 20:45 საათზე დაიწყება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

შეჯიბრები

23 ივლისი

ფეხბურთი

უეფას ჩემპიონთა ლიგა

პლზენი-ოლიმპიაკოსი	0:0
საბურთალო-დინამო (ზ)	0:2
პსვ-ბაზელი	3:2
ტნს-კოპენჰაგენი	0:2
სუტიესკა-აპოელი	0:1

უეფას ევროპის ლიგა

არარატი-ლინკოლნი	2:0
ტორჰავნი-ლინფილდი	2:2
შკენდია-დუდელანჟი	1:2
სანტა კოლომა-ასტანა	0:0
ტრე პენე-სუდუვა	0:5

ინფარქტის მიზეზი შესაძლოა ხშირი კამათი გახდეს

ცხოვრების თანამგზავრთან ხშირი კამათი ინფარქტის რისკს ზრდის – ამ დასკვნამდე 12-წლიანი კვლევის შედეგად ბრიტანელი მკვლევრები მივიდნენ.

ექსპერიმენტში 9 ათასამდე მოხალისე მონაწილეობდა. მეცნიერები პარტნიორებთან თუ გარშემომყოფებთან დაკავშირებული კონფლიქტებით გამოწვეულ მათ უარყოფით განცდებს დეტალურად შეისწავლიდნენ და დაადგინეს, რომ იმ ადამიანებში, რომლებსაც პარტნიორებთან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ, ინფარქტისა და გულსისხლძარღვთა სხვა დაავადებების განვითარების რისკი 34 პროცენტით მაღალი იყო.

ჯანმრთელობის მდგომარეობა განსაკუთრებით გამოკვლევის იმ მონაწილეებს გაუუარესდათ, რომლებსაც ცხოვრების თანამგზავრი ხშირად აკრიტიკებდა. ისეთი რისკფაქტორების გამორიცხვის შემდეგაც კი, როგორებიცაა ჭარბი წონა და ალკოჰოლის დიდი რაოდენობით მიღება, ინფარქტის განვითარების რისკი მათ დანარჩენ მოხალისეებთან შედარებით, მაინც 23 პროცენტით მეტი აღმოაჩნდათ.

რაც უფრო ნეგატიური დამოკიდებულება აქვთ შენს ახლობლებს შენს მიმართ, მით უარესი შენი ჯანმრთელობისათვის , – ასეთი კომენტარი დაურთო კვლევის შედეგებს მეცნიერთა ჯგუფის ხელმძღვანელმა რობერტო დე ვოლიმ.

თუ სიმაღლის გეშინიათ

სიმაღლეზე ასვლისას ზოგჯერ ადამიანი დისკომფორტს განიცდის. ამას სიმაღლის დაავადება ეწოდება. იგი დიდ სიმაღლეზე სწრაფად ასვლისას გაუვარჯიშებელი ორგანიზმის მქონე პირებს ემართებათ. სიმაღლის დაავადების სიმპტომებია: საერთო სისუსტე, ძილად მივარდნა, თავბრუსხვევა, ქოშინი, თავის ტკივილი, ნერვული სისტემის მოშლილობა, ტანში ტეხის შეგრძნება.

ამ დროს ავადმყოფს შეიძლება დაემართოს ციანოზი (პერიფერიული სისხლის მიმოქცევის დარღვევა), რომლის დროსაც სუნთქვა გახშირებული და გაღრმავებულია, გულის მუშაობა აჩქარებულია, ცენტრალური ნერვული სისტემის მოშლილობამ შეიძლება პიკს მიაღწიოს და ავადმყოფმა დაკარგოს მეხსიერება, ორიენტაციის უნარი, ზოგჯერ აღინიშნება მძიმე კოლაფსი, სიფერმკრთალე, ცივი ოფლი. გულის მუშაობის უეცარი შენელება კრიტიკული მდგომარეობის მოახლოების სიმპტომია. ამ დროს შეიძლება ავადმყოფის არტერიულმა სისხლის წნევამ მოიმატოს. გამორიცხული არ არის, განვითარდეს კრუნჩხვები.

პათოლოგიური მდგომარეობა დაკავშირებულია ატმოსფერული წნევის შემცირებასთან. დაავადებას ჟანგბადის ნაკლებობა იწვევს, ამ დროს მთლიანი ორგანიზმის ქსოვილი განიცდის ჟანგბადოვან შიმშილს.

ავადმყოფი სწრაფად გამოვა მდგომარეობიდან, თუ სწრაფად მიეცემა ჟანგბადი. ზოგჯერ უფრო ეფექტურია ჟანგბადისა და ნახშირორჟანგის ერთდროული შესუნთქება. ავადმყოფი მაქსიმალურად მშვიდ გარემოში უნდა იყოს და რაც შეიძლება სწრაფად დაბრუნდეს დაბალ ადგილას. უნდა მიეცეს ცხელი სასმელი, ამ დროს სხეული თითქმის მთლიანად გაციებულია. გულის რიტმის აღსადგენად მიეცეს კოფეინის შემცველი სასმელი.

გიორგი სუხიტაშვილი: „მთავრობა სამი, მაქსიმუმ ოთხი წლით უნდა იქნეს არჩეული“

მიაჩნია მომღერალ გიორგი სუხიტაშვილს და თავის მოსაზრებას დასაბუთებული არგუმენტებით განმარტავს:

– ჩემი მოკრძალებული აზრით, მთავრობა სამი, მაქსიმუმ ოთხი წლით უნდა იქნეს არჩეული და ზედიზედ ორი ვადის მეტი არ უნდა ჰქონდეს უფლება არჩევნებში მონაწილეობისა. ასეთ შემთხვევაში ასეთ ჩაბღაუჭებას არ ექნება ადგილი და აგრეთვე უამრავ დანაშაულებრივ გადაწყვეტილებასაც არ მიიღებენ.

ბოდიში, მე სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ. არავის აღარ ეთმობა სავარძელი და ყველანაირი ხერხით ცდილობს არსებობის გახანგრძლივებას.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ისლანდიის სანაპიროზე ათეულობით დელფინი გამოირიყა

ისლანდიის სნაიფედლსნეს ნახევარკუნძულის სანაპიროზე 50 შავი დელფინი, რომელიც ასევე გრინდის სახელითაცაა ცნობილი, გამოირიყა.

ამერიკელი ტურისტების ჯგუფმა, რომელიც ექსკურსიაზე შვეულმფრენით იმყოფებოდა, სანაპიროზე უამრავი მკვდარი დელფინი შენიშნა. ზოგიერთ მათგანს სხეულზე ჭრილობა ეტყობოდა.

ექსკურსიის ერთ-ერთმა მონაწილემ გრეტა კარლსონმა მომხდარი ვიდეოზე გადაიღო და ამის თაობაზე ქალაქ სტიკისჰოულმიურის ხელისუფლებას აცნობა. მისი მტკიცებით, იმედი აქვს, რომ ამით მომავალში მსგავსი ტრაგედიების თავიდან აცილება იქნება შესაძლებელი.

ზღვის ბიოლოგმა ედა ელისაბედ მაგნუსდოტირმა აღნიშნა, რომ დელფინების ნაპირზე გამორიყვა, შესაძლოა, მთელი რიგი მიზეზების გამო მომხდარიყო. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, ზღვის ცხოველები კურსს ძლიერი დინების გამო ასცდნენ.

კოლექციონერმა ჭუჭყიან ბოტასებში ნახევრ მილიონამდე დოლარი გადაიხადა

1972 წლის გამოშვება ნაიკის ბოტასები Waffle Racing Flat "Moon Shoe" სოტბის აუქციონზე 437,5 ათას დოლარად გაიყიდა. ამ ინფორმაციას აუქციონის სახლის ოფიციალური ვებგვერდი ავრცელებს.

ეს თანხა რეკორდულია აუქციონზე გაყიდული ბოტასებისთვის. ამჟამინდელმა შედეგმა წინა რეკორდულ თანხას ორჯერ და მეტად გადააჭარბა.

ამასთან, ლოტის სავარაუდო ფასი 160 ათას დოლარს შეადგენდა.

ასეთი მაღალი ფასი ნივთის ექსკლუზიურობითაა განპირობებული. სულ 12 წყვილი ბოტასი იყო გამოშვებული. ყველა მათგანი 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებში სირბილში შეჯიბრებისთვის იყო განკუთვნილი.

აღნიშნული მოდელი პირადად კომპანიის ერთ-ერთი დამაარსებლის, მძლეოსნობის მწვრთნელ ბილი ბაუერმანის მიერ იყო დამზადებული. თავდაპირველად Moon Shoe სხვა 99 იშვიათ ბოტასებთან ერთად უნდა გაყიდულიყო, მაგრამ კანადელმა მაილს ნადალმა მთელი კოლექციის ჯერ კიდევ აუქციონამდე ყიდვა მოისურვა. საბოლოოდ მას 100 წყვილიდან 99 პირადად 850 ათას დოლარად მიჰყიდეს, ხოლო Moon Shoe აუქციონზე გამოიტანეს გასაყიდად, თუმცა აუქციონის მსვლელობისას ნადალმა ისიც იყიდა.

100-ვე წყვილი ბოტასი მაილს ნადალის კერძო მუზეუმში ავტომობილების კოლექციასთან ერთად იქნება გამოფენილი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

25 ივლისს და 6 აგვისტოს ნათელა ნადიბაიძის მემკვიდრეთა საყურადღებოდ

30.07.2018 წელს გარდაცვლილი ნათელა ნადიბაიძის (დაბადებული 08.04.1940 წ.) სამემკვიდრეო საქმე იწარმოება ნოტარიუს ლელა ინწკირველთან (თბილისი, მარჯანიშვილის ქუჩა №21. IV სართული).

დაინტერესებულმა პირებმა მიმართეთ ნოტარიუსს 2019 წლის 1 სექტემბრის ჩათვლით.

კულინარიული კუთხე

შილაფლავი (მეორენაირად)

მასალა: ცხვრის ხორცი – 1 კილოგრამი; ხახვი – 2 თავი; ბრინჯი – 2 ჭიქა; ოხრახუში – 4 ძირი; მარილი, პილპილი – გემოვნებით.

მომზადება: ცხვრის მსუქანი ხორცი ნაჭრებად დავჭრათ, მოვათავსოთ ქვაბში, დავასხათ წყალი და ვხარშოთ. მოვხადოთ ქაფი, ჩავყაროთ ბრინჯი, დაჭრილი ხახვი, მარილი და ხშირად მოვურიოთ, რომ ძირი არ მიეწვას. როცა ხორცი და ბრინჯი კარგად მოიხარშება, ჩავაყაროთ დანაყილი პილპილი.

სუფრაზე მიტანისას ზემოდან მოვაყაროთ დაჭრილი ოხრახუში.

შილაფლავი (მესამენაირად)

მასალა: ცხვრის ან ბატკნის ხორცი – 1 კილოგრამი; ბრინჯი – 2 ჩაის ჭიქა; პილპილი, ძირა – გემოვნებით.

მომზადება: ცხვრის ან ბატკნის მსუქანი ხორცი დავჭრათ საშუალო ზომის ნაჭრებად, მოვაყაროთ მარილი, დავახუროთ სახურავი და გავაჩეროთ 30 წუთი. შემდეგ მოვათავსოთ მდუღარე წყალში. დუღილის დროს მოვხადოთ ქაფი. როცა ნახევრად მოიხარშება, ჩავყაროთ ბრინჯი და ვხარშოთ, სანამ ხორცი და ბრინჯი კარგად მოიხარშება. დავამატოთ დანაყილი პილპილი და ძირა.

ერბოკვერცხი პურით

მასალად საჭიროა: პური – 200 გრამი; კვერცხი – 6 ცალი; ხახვი – 2 თავი; წყალი – 1 ჩაის ჭიქა; ერბო – 50 გრამი; მარილი – გემოვნებით.

მასალად საჭიროა: ძველი, წინა დღის პური დავჭრათ თხელ ნაჭრებად; ასევე მრგვალ, თხელ ნაჭრებად დავჭრათ ხახვი და მოვხრაკოთ ერბოში. შემდეგ დავასხათ 1 ჩაის ჭიქა წყალი. შევაზავოთ მარილით და, როცა წამოდუღდება, ჩავყაროთ დაჭრილი პური. ცოტა ხნის შემდეგ ჩავასხათ ათქვეფილი კვერცხები; კვერცხი კარგად რომ შეიკვრება, გადმოვდგათ ცეცხლიდან.

მოხარშული კარტოფილი ნიგვზით

მასალად საჭიროა: კარტოფილი – 500 გრამი; ხახვი – 1 თავი; ნიგოზი – 1/2 ჩაის ჭიქა; ნიორი – 1-2 კბილი; ღვინის ძმარი, ქინძი, ოხრახუშის ფოთოლი ან კამა, წიწაკა და მარილი – გემოვნებით.

მომზადების წესი: კარტოფილი გავრეცხოთ კანიანად, მოვხარშოთ, გავაცალოთ კანი და დავჭრათ ოთხკუთხედებად. ნიგოზი, ნიორი, წიწაკა, ქინძი, მარილი დავნაყოთ ერთად, გავხსნათ ღვინის ძმრით, ავურიოთ წვრილად დაჭრილი ხახვი და მოხარშული კარტოფილი. გამზადებული მასალა ლამაზად მოვათავსოთ თეფშზე ან პატარა ლანგარზე, მოვაყაროთ წვრილად დაჭრილი ოხრახუში ან კამა და მივიტანოთ სუფრაზე.

ნამცხვარი ნიგვზით

მასალად საჭიროა: პურის უმაღლესი ხარისხის ფქვილი – 1 კილოგრამი; მარილი – 25 მარილი; წყალი – 0,5 ლიტრი; ნიგოზი – 400 გრამი; შაქარი – 300 გრამი; ცხიმი – 500 გრამი;

მომზადების წესი: მოვზილოთ სახინკლე ცომი, გავაბრტყელოთ 2 მმ სისქეზე, დავჭრათ მრგვალ ნაჭრებად, ნიგოზი დავნაყოთ, შიგ ავურიოთ შაქარი, ნარევი ჩავდოთ გაბრტყელებულ ცომში, შევკრათ, მივცეთ მრგვალი ფორმა, დავაწყოთ ტაფაზე, ზემოდან მოვუსვათ ცხიმი და შევდგათ აერღუმელში.

ფლავი (გაწურული)

მასალად საჭიროა: ბრინჯი – 2 ჩაის ჭიქა; ერბო – 150 გრამი; კვერცხი – 2 ცალი.

მომზადების წესი: ბრინჯი გავარჩიოთ, გავრეცხოთ, ჩავყაროთ მარილწყალში და ნახევრად მოვხარშოთ. შემდეგ გადავიღოთ საწურზე და ზემოდან დავასხათ ცივი წყალი. ფართოძირიან ქვაბში ჩავდოთ ერბო, დავდგათ ცეცხლზე, როცა გაცხელდება, ჩავასხათ შიგ გათქვეფილი კვერცხები. ერთი-ორი წუთის შემდეგ დავაყაროთ განურული ბრინჯი, დავამატოთ ერბო, ქვაბსა და სახურავს შორის გადავაფაროთ დასველებული, მაგრად გაწურული ტილო და ვშუშოთ, სანამ ბრინჯი კარგად არ გაფუვდება.

ასტროპროგნოზი

25 ივლისისთვის

ვერძი – პასიური დღეა. თუ სისუსტეს გამოიჩენთ, ეს თქვენს წარმატებაზე უთუოდ აისახება. ზედმეტი მზრუნველობა ახლობლებისადმი საჭირო არ არის. **კურო** – სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. ეს დღე თქვენი შემოქმედებითი აღმავლობის დასაწყისია. სისუსტეს ნუ გამოიჩენთ. **ტყუპები** – აგრესიულობა და ლიდერობისკენ სწრაფვა კოლეგებთან და ახლობლებთან ურთიერთობას გაგიფუჭებთ. ამას შესაძლოა ფინანსური დანაკარგებიც მოჰყვეს. **კირჩხიბი** – ძალზე იღბლიანი დღეა, განსაკუთრებით – საჯარო მოხელეთათვის. ექსპერიმენტებისგან თავი შეიკავეთ. **ლომი** – კომერციული ოპერაციები წარმატებით დაგვირგვინდება. გარისკეთ. არ ინანებთ. ეს ყველაფერი თქვენს შემოქმედებით ზრდასა და ავტორიტეტზე დადებით გავლენას მოახდენს. **ქალწული** – მშობლებისა და ბავშვების მიმართ მეტი ლოიალობა გამოიჩინეთ. ეს დღე ერთგვარი გამოცდა იქნება. **სასწორი** – მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება. ერიდეთ უაზრო გარისკვასა და კომერციულ გარიგებებს. მოთმინება და თავშეკავება დღის დევიზია. **ღრიანკალი** – დაისვენეთ და გაერთეთ მშვიდ გარემოში. საღამოს საინტერესო ახალ ამბავს გაიგებთ. **მშვილდოსანი** – დღის პირველი ნახევარი წარმატებული იქნება, თუ იმ საქმეს გააკეთებთ, რომელშიც კარგად ერკვევით. თავს ზედმეტად ნუ გადაიტვირთავთ. **თხის რქა** – ჯანმრთელობის მდგომარეობა სავსებით დამაკმაყოფილებელია, მაგრამ ნერვებს გაუფრთხილდით და ნუ გადაიღლებით. ეცადეთ, იყოთ დამოუკიდებელი და სიტუაცია თქვენ სასარგებლოდ მართოთ. **მერწყული** – ფინანსური ოპერაციები წარმატებით ჩაივლის. კომპრომისზე წასვლა დღეს აუცილებელია. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ. **თევზები** – თუ საჭიროდ მიიჩნევთ, ბოდიშიც მოიხადეთ. დათმობა, მიმტევებლობა, ლოიალობა დღის დევიზია.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოჰდი ბ



შვეულად: 1. სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ქართველი შტანგისტი; 2. შენიშვნა, დამატებითი განმარტება ტექსტში; 3. ადგილი, სადაც არის ბუნებრივი პირობები მკურნალობისა და დასვენებისათვის; 4. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 5. ატომური ბომბით დანგრეული ქალაქი იაპონიაში; 6. სარეკლამო ხელსაწყოების გასანათებლად გამოყენებული ქიმიური ელემენტი, აირი; 7. გეოდეზიური საველე, სახაზავი მაგიდა; 9. მამაკაცის სასიმღერო ხმა; 13. პორტუგალიის ფეხბურთელთა გუნდი; 17. მდინარის ქვიანი ნაპირი; 18. არაბეთის ზღვისპირა კურორტი ინდოეთში.

თარაზულად: 1. კბილების დაავადება; 3. დაბა დაღესტანში ვერცხლის, ოქროს, ლითონის მხატვრულად დამუშავების ცენტრი; 8. ქორწინების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 10. ქართლში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 11. პირველი გერმანული ოპერა; 12. ლიხტენშტეინის მთავართა ტიტული; 14. ქართული ფარმაცევტული ფირმა; 15. სამშობიარო სახლის ძველებური სახელწოდება; 16. ესპანური სპორტული გაზეთი; 19. სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულზე; 20. მსხვილი საჯარისო შენაერთი; 21. მთიანეთი სამხრეთ ამერიკაში.

შეადგინა თ. კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. სუპორტი; 2. ვირსალაძე; 3. ერდოღანი; 4. ბრონქსი; 5. მარულა; 9. მაგატე; 11. გაუტამა; 12. ბისონი; 14. გამბიტი; 18. იდიში; 19. შოუდუ.

თარაზულად: 4. ბეშუმი; 5. მორიკონე; 6. გროგი; 7. გომბორი; 8. ესკიმო; 10. იონგო; 13. ტიგელი; 15. ლენგლი; 16. ნოტი; 17. ხიდი; 20. ბოჟოლე; 21. დიქცია; 22. ბუშლატი; 23. დაბაღი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ბუნდესვერი; 2. სალაჰი; 3. მადიარი; 4. რაბლე; 5. მადნეული; 6. გორდი; 7. კახიანი; 9. სატივე; 13. იჯარა; 17. სუვა; 18. ოყა.

თარაზულად: 1. ბენიასა; 3. მწყერი; 8. კამორა; 10. ვაქცინა; 11. „დელტა“; 12. ფერმერი; 14. ქვევრი; 15. ბრინჯაო; 16. ლისტი; 19. ზარაფი; 20. ვისკოზა; 21. ბითაძე.

ეკა კვალიაშვილი კუთვნილ ჰონორარს ითხოვს

მომღერალი ეკა კვალიაშვილი კუთვნილ ჰონორარს ითხოვს. საუბარია 28 მარტს კახეთში ჩატარებულ კონცერტზე, რომლის ჰონორარიც მომღერალს ამ დრომდე არ მიუღია. ამის მიზეზი კონცერტის პროდიუსერის დაკავება გახდა:

– უკომენტაროდ დავტოვებ ამ ყველაფერს.

მე ანგარიშზე ამ წამს 19 თეთრი მაქვს. ველოდები, რომ დამიბრუნდეს, მე რა შუაში ვარ საერთოდ, ჩემი კუთვნილი ჰონორარი, რომელიც უნდა ჩაერიცხა ჩემთვის კახეთის რეგიონში დაგეგმილი კონცერტების პროდიუსერს, რომელიც არ ვიცი, რაღაც სხვა მიზეზების გამო დაიჭირეს იმ დღეს, როდესაც ჩემი კუთვნილი ჰონორარი უნდა გადმოერიცხა ჩემთვის.

კონცერტი 28 მარტს ჩავატარე და შესაბამისი დოკუმენტაციაც მაქვს, გაიყინა პროდიუსერის ანგარიში და ჩემი თანხაც, შესაბამისად. გაარკვიეს, მუნიციპალიტეტმაც მისწერა და მაინც ვერ ვეღირსე ჩემს ჰონორარს, სამწუხაროდ, ვერც ბინას და ჯანმრთელობა კი ამდენ ნერვიულობაში რაც წლებია ხდება. არ ვიცი, მოკლედ. მინდა დავსვა კითხვა – როდემდე?!

გიორგი გასვიანი: „გადაეცით პუტინს, რომ ქართველ ერზე ლოიალური არავინ არის“

აცხადებს სოხუმის თეატრის მსახიობი გიორგი გასვიანი და აქციიდან მომავალი რუსი ტურისტის ისტორიას იხსენებს:

– აქციიდან მომავალი რუსი ტურისტი მოგვადგა, რამდენიმე დღით ვარ ჩამოსულიო. ფულს ითხოვდა. გზის ფული არ მაქვსო. ზურგჩანთიანი ტურისტი იყო. ვერ მოვასწარი, გადამეღო. მისცეს ხურდები. რა ვიცი.

გადაეცით პუტინს, რომ ქართველ ერზე ლოიალური არავინ არის და ტურისტებს არავინ ერჩის. ბევრ ქვეყანაში რუს ტურისტს ხურდას კი არ აღირსებდნენ, გააპანღურებდნენ და არავინ ერჩის რუს მოქალაქეებს ისე, როგორც თვითონ პუტინი! და ბევრი რუსი მხარს უჭერს საქართველოს მოწოდებებს ნორმალური და თავისუფალი საზოგადოებიდან, ვისაც რცხვენია საკუთარი ოკუპანტი ქვეყნის იმიჯის!

სამგლოვიარო განცხადებები

ნინო ღლონტის ხსოვნას

ტკბილო და მოსიყვარულე ძმისშვილო, ნინო, ორმოცი დღეა, რაც დაგვტოვე...

ძნელია, შევეგუოთ უშენობას. უსაზღვროა ჩვენი გულისტკივილი შენი ასე უდროოდ წასვლის გამო სამუდამო სასუფეველში.

აუტანელია შენი ამქვეყნიდან წასვლა შენი შვილების – თამუნასა და თათიასათვის, ყველა შენი მოსიყვარულე ახლობელი ადამიანისათვის.

ჩვენ გვწამს, რომ შენი ნაამაგარი შვილები, თავიანთი ოჯახებით, ღირსეულად გააგრძელებენ ამქვეყნიურ ცხოვრებას – ისე, როგორც შენ გქონდა ჩაფიქრებული მათი მომავალი.

მე, 85 წლის მამიდაშენი, წარსული დროით არ უნდა გიხსენებდე შენ, ჩემს საყვარელ ძმისშვილს, ასევე შენს მეუღლეს, ჯონის, რომელმაც სრულიად ახალგაზრდამ დაიმკვიდრა მუდმივი სასუფეველი იმქვეყნად.

აცრემლებული გეხმიანები ერთსტროფიანი ლექსით:

ნინო, შენ, ტკბილო ძმისშვილო,
ყველა გგლოვობს წრფელი გულით,
წახველ, მაგრამ კვლავ ჩვენთან ხარ,
სითბოთი და სიყვარულით.

მშვიდად განისვენე შენს მეუღლესთან, შენს ამაგდარ მშობლებთან და საყვარელ, ახლობელ ადამიანებთან ერთად.

განუშორებლად ჩვენთან ერთად იქნები სევდიანი ხსოვნით...

უფალო იესუ ქრისტე, განუსვენე სულსა გარდაცვალებულისა მხევალისა შენისასა – ნინოსი – და დაამკვიდრე იგი მართალთა თანა! ამენ!..

შენი კლარა მამიდა, მამიდაშვილები
თინათინ და ზურაბ ჩხეიძეები ოჯახებით

რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის თანამშრომელი, შესანიშნავი პიროვნება და თვალსაჩინო მეცნიერი

რევაზ მელქაძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ქართულმა კინოპროექტმა 60.000 ევრო მოიპოვა



ქართულმა კინოპროექტმა „ევრიმაჟის“ დაფინანსება, 60.000 ევრო მოიპოვა.

„ინგა“ – ასე ეწოდება კინოპროექტს, რომელიც საქართველოს, ლიეტუვისა და ლუქსემბურგის კოპროდუქციაა.

ფილმის რეჟისორები გიორგი გოგიჩაიშვილი და დავით აბრამიშვილი არიან.

საქართველო უკვე 8 წელია, ევროპის საბჭოს კინოს განვითარებისა და მხარდაჭერის ფონდ „ევრიმაჟის“ წევრია. მას შემდეგ ფონდის მიერ მხარდაჭერილია არაერთი ქართული კინოპროექტი.

„ევრიმაჟის“ სამუშაო სესია 3 თვეში ერთხელ ტარდება, სადაც საბჭოს წევრები ათეულობით კინოპროექტს აფასებენ ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან. პროექტების წარდგენის შემდეგ ხმის მიცემის საფუძველზე წყდება, თუ რომელი პროექტი მიიღებს „ევრიმაჟის“ დაფინანსებას.

გოგი გვახარია სპეცრაზმელებს აკრიტიკებს

კინომცოდნე გოგი გვახარია კვლავაც 20 ივნისის ღამის მოვლენების გარშემო საუბრობს და აცხადებს, რომ ეს დღე მისთვის დაუვიწყარია:

– იმედია, მალე მოვა დრო, როცა პარლამენტის დღევანდელ სხდომას ბავშვებს სკოლაში, ისტორიის გაკვეთილებზე უჩვენებენ.

ერთ-ერთი ყველაზე ამაზრზენი სურათია საქართველოს ისტორიაში.

სპეცრაზმის წევრების სახეებს მაინც ვერ ვხედავდით. ვიღაც გაურკვეველი „რკინის კაცები“ ისროდნენ ტყვიებს. აქ კი სახეებს ვხედავთ. გაყინულ მზერას ივანიშვილის ჯარისკაცებისა, რომლებსაც, როგორც ჩანს, არ აინტერესებთ, როგორ შეაფასებს მათ ისტორია. სახელი და გვარი აქვთ ამ ადამიანებს! ოჯახები ჰყავთ, მეგობრები, ნათესავები... მაგრამ მათთვის მხოლოდ ერთი რამ უნდა იყოს მთავარი – როგორ დააფასებს ამ გულისამრევ ერთგულებას მათი ყარაბას-ბარაბასი.

ეკა ჩხეიძე: „რატომ არც ერთ მთავრობას არ ვთხოვთ დანაპირების შესრულებას?!“

მსახიობ ეკა ჩხეიძეს გულწრფელად აინტერესებს, რატომ არც ერთ აქციაზე არც ერთ მთავრობას არ ვთხოვთ დანაპირების შესრულებას?!

– ძალიან მაინტერესებს, რატომ არც ერთხელ არც ერთ აქციაზე, როგორც სხვა ქვეყნებში ხდება, არც ერთ მთავრობას არ ვთხოვთ დანაპირების შესრულებას?

„გადადექის“ მოთხოვნით რომ არაფერი იცვლება ხალხის სასარგებლოდ, ხომ ფაქტია? სამუშაო ადგილები კლებულობს, ხელფასები მცირდება, ფასები იზრდება, გადასახადები მატულობს.

ჩვენ კი 30 წელია: „წაადიი!“, „გაადაადეექი!“

და რა? ...იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა....

გრაკლიან გორაზე უნიკალური ნაგებობა აღმოაჩინეს

გრაკლიან გორაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ძველი წელთაღრიცხვით V საუკუნის უნიკალური ნაგებობა აღმოაჩინა.

ეს არის პირველი შემთხვევა, როცა ამ პერიოდის ძეგლი შემორჩენილია მთლიანად და იძლევა იმ დროის ცხოვრების შესახებ სრულყოფილი წარმოდგენის შექმნის შესაძლებლობას. ცენტრალურ ადგილას დიდი საკურთხეველია. სათავსოში გამართულია ღუმელი, რომელზეც ქურუმებისთვის ცეცხლის გადასატანი ვაზები დევს. იქვე არის სამკურნალო მცენარეების თესლების დასაფქვავი მოწყობილობა.

გათხრებში თსუ-ის სტუდენტებთან ერთად მონაწილეობდა ოქსფორდის უნივერსიტეტის და ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯის 15 სტუდენტი. საველე სამუშაოები მოინახულა და სტუდენტებს შეხვდა თსუ რექტორი გიორგი შარვაშიძე.

შიდა ქართლში, გრაკლიან გორაზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგებმა გათხრები 2008 წელს დაიწყეს, სადაც თსუ-ის სტუდენტებისთვის საველე პრაქტიკის ბაზაც ჩამოყალიბდა.

2015 წელს, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, „გრაკლიანის გორას“ ეროვნული კატეგორიის ძეგლის სტატუსი მიენიჭა. გათხრები დღემდე გრძელდება. ტერიტორიაზე 11 განსხვავებული პერიოდის კულტურის ნაშთებია აღმოჩენილი, ქვის ხანიდან დაწყებული ახ. წელთაღრიცხვის მეხუთე საუკუნემდე. აქ არის როგორც სამეურნეო ნაგებობები, ასევე საცხოვრებელი და ტაძრები.

პანტომიმის თეატრმა გრანპრი დაიმსახურა

საქართველოს პანტომიმის თეატრმა ბელგრადის დედაქალაქ სერბეთში გამართულ მიმების საერთაშორისო ფესტივალზე გრანპრი მოიპოვა.

ინფორმაცია თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ამირან შალიკაშვილმა გაავრცელა:

– კიდევ ერთხელ დავამტკიცეთ, რომ ქართული პანტომიმა №1! გრანპრი საქართველოშია! საერთაშორისო ბაზარზე შალიკაშვილის სტილი ნომერ პირველია და უმაგრესია! ვულოცავ საქართველოს ამ დიდ წარმატებას და, რა თქმა უნდა, ჩემს მსახიობებს დიდი მადლობა!

ლიკა შუბითიძე ნიუ იორკში მსოფლიო პრაიდს დაესწრო



მომღერალი ლიკა შუბითიძე ნიუ იორკში გამართულ მსოფლიო პრაიდს დაესწრო. როგორც ამერიკაში მცხოვრები ქართველი ხელოვანი აცხადებს, ამ მსვლელობაში ის მარტო არ ყოფილა, მასთან ერთად სხვა ქართველებიც იმყოფებოდნენ:

– ნიუ იორკში ჩატარდა მსოფლიო პრაიდი 2019. ქართველების ჯგუფიც შევუერთდით ამ ძალიან ფერად და მხიარულ დღეს. არ ჩამოვთვლი, ვინ სექსუალური უმცირესობა იყო და ვინ – არა. ეს არაა საინტერესო. საინტერესო და ძალიან კარგი იყო ჩვენი ერთად ყოფნა.

მოგვიანებით, ჟურნალისტებმა ჩართეს ფეისბუქ-ლაივი და მაშინ დაიწყო საშინელი მუქარა ამ ადამიანების მიმართ. საშინელი სიტყვებით ლანძღავდნენ და ემუქრებოდნენ იქ მყოფებს. ჩვენ ცოტა ადრე მოგვიწია წამოსვლა ბავშვის გამო. გადავრჩით. საქართველოს დროშა რომ დაინახეს, გადაეკეტათ. გადასწვდნენ ნათესავები მათ მშობლებსაც თურმე.

აი, რა მინდა გითხრათ მათ, ვისაც გგონიათ, რომ მილიონობით ადამიანი თქვენ ჯინაზე გამოდის პრაიდისთვის და თქვენს ჯინაზე ხდება ლგბტ: თქვენ საერთოდ არაფერ შუაში არ ხართ! თქვენ ვერ შეცვლით ვერაფერს! თქვენ შეგიძლიათ, განსაზღვროთ თქვენი სექსუალური ორიენტაცია, მაგრამ არ შეგიძლიათ, შეცვალოთ სხვისი!

განსაზღვრეთ თქვენი და სხვისი აღარ დაგაწყვეტთ ნერვებს!

მოამზადა
ეკა ირემაშვილმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

გაზეთი „ახალი თაობა“ და ვებგვერდი AKHALITAOBA.GE აცხადებენ 50%-იან საზაფხულო ფასდაკლებას რეკლამის განთავსებაზე 1 სექტემბრის ჩათვლით. დარეკეთ 577460659 ან 595183709

ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

25 ივლისისთვის

- აშშ დოლარი — 2.9010
- ევრო — 3.2343
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6251
- 100 რუსული რუბლი — 4.5838

ამინდის პროგნოზი 25 ივლისისთვის

„ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

„მე მიყვარს კითხვა“

16 ივლისიდან

ელეონორ პორტერი

პოლიანა

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი



19 ივლისიდან

რევაზ მიშველაძე

ციყვი ბორბალში

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

ალშფოთებული გამვლელი შიშველ ველოსიპედისტებს თავს დაესხა

ამერიკის მისურის შტატის ქალაქ სენტ-ლუისში უცნობმა საღებავიანი ბურთულები დაუშინა შიშველი ველოსიპედისტების შიშველ მსოფლიოს გარბენის მონაწილეებს.

ღონისძიების დროს, რომელიც ყოველ წელს იმართება, ქუჩებში ათასზე მეტმა ნახევრად შიშველმა ველოსიპედისტმა გაიარა. ქალაქის ერთ-ერთი პარკის რაიონში მათ პეინტბოლისთვის განკუთვნილი იარაღმომარჯვებული მამაკაცი დახვდათ.

როდესაც მას გვერდით ჩაუარეს ველოგარბენის მონაწილეებმა, მან მინიმუმ ათი დამიზნებითი გასროლა განახორციელა. ღონისძიების საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენლის მტკიცებით, ამ ინციდენტის შედეგად სერიოზულად არავინ დაშავებულა.

ატომურ სადგურთან იშვიათი სახეობის ნიანგები გამრავლდნენ



ატომური ელექტროსადგურის ტერკიპოინტის მახლობლად არხებში, რომელიც ფლორიდის შტატის ქალაქ მაიამიდან 40 კილომეტრში მდებარეობს, ცხვირმახვილა ნიანგები მომრავლდნენ.

ატომური ელექტროსადგურის გაგრილების სისტემა აშშ-ში იშვიათი სახეობის ნიანგების სამიდან ერთ-ერთ უდიდეს საბინადრო ადგილად იქცა. მის წყალსატევში ასეულობით ცხვირმახვილა ნიანგი ბინადრობს, რაც ქვეყნის ტერიტორიაზე ბინადარი ამ სახეობის მეოთხედს წარმოადგენს. შტატის ენერგეტიკული კომპანია, რომელიც ელექტროსადგურს ემსახურება, ცდილობს, ამ სახეობის პოპულაცია გაზარდოს და ბიოლოგების გუნდი დაიქირავა, რომლებიც რეპტილიებისთვის ბუდეების აშენებითა და შემდეგ ნიანგების პატარა ნაშიერების იქ გადაყვანით არიან დაკავებულნი.

შვიდი დღის განმავლობაში სპეციალისტებმა ატომური ელექტროსადგურის არხებში ცხვირმახვილა ნიანგების 73 ნაშიერი დაიჭირეს. ისინი გაზომეს, აწონეს, სპეციალური სათვალთვალო მოწყობილობებით აღჭურვეს და ისეთ ადგილებში გაუშვეს, სადაც მათ გადარჩენის უფრო მეტი შანსი ექნებათ.

– ცხვირმახვილა ნიანგებს საკმაოდ ცუდი რეპუტაცია აქვთ, მაგრამ ისინი, უბრალოდ, გადარჩენას ცდილობენ, – განაცხადა ბიოლოგმა მაიკლ ლიორეტმა, – ისინი მორიდებული არსებები არიან და ჩვენთვის ნამდვილად არ სცხელათ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

ერთი მამაკაცი მეორეს ეუბნება:

– იცი, ცოლმა მიმატოვა, ისე, რომ ერთი თეთრიც არ დამიტოვა.

– ჩემმა ცოლმაც სულ უფულოდ დამტოვა, მაგრამ არსად წასულა.

●●●

მამაკაცი ნუდისტების პლაჟზე ირუჯება და თავის ღირსებას ზევიდან ქუდი დააფარა. გვერდით ქალმა ჩაიარა, მამაკაცს გადახედა და ირონიულად ეუბნება:

– თქვენ რომ ნამდვილი ჯენტლმენი იყოთ, ქალბატონის თანდასწრებით ქუდს მაინც წამოსწევდით.

– თქვენ რომ ნამდვილი ქალბატონი იყოთ, ქუდი თავისთავად აიწეოდა...

●●●

მამაკაცი ექიმს ეუბნება:

– ექიმო, თავში პატარა კაცუნა მიზის და სულ დედას იგინება!

– მაგის მორჩენა პრობლემა არ არის, 1000 ლარი დაგიჯდება!

– და იცი, ექიმო, ახლა ის კაცუნა ახლა რას ამბობს?

●●●

ერთი მეგობარი მეორეს უყვება:

– გუშინ გოგონა გავიცანი...

– მერე?

– როდესაც ვუთხარი, რომ გოგონებთან თამამი მხოლოდ დალევის შემდეგ ვხდები, ხელჩანთიდან ბოთლი და ჭიქა ამოიღო.

●●●

კაცი ქალს ეკითხება:

– მართლა დიასახლისი ხარ?

– კი.

– მაგარია, აბა მითხარი რამე ისეთი, დიასახლისს რომ შეეფერება.

– მოკეტე და ჩახეთქე, რაც მოგიტანე!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– გუშინ ჩემს შეყვარებულთან ყველა ცოდვა ვაღიარე...

– მერე, რაო?

– ვერ მიშველა, ქორწილი სამი კვირაში გვექნება.

●●●

შვილი მამას ეკითხება:

– მამიკო, რა ერქვა ადამის სიდედრს?

– სიდედრი არ ჰყავდა, შვილო... სამოთხეში ცხოვრობდა.

მოამზადა კახა ხატიშვილმა

მარკო ასენსიომ მძიმე ტრავმა მიიღო

მადრიდის რეალის ნახევარმცველმა მარკო ასენსიომ არსენალთან ამხანაგურ შეხვედრაში მძიმე ტრავმა მიიღო და, შესაძლოა, მან 9 თვე გამოტოვოს.

ასენსიოს მუხლის მყესი გაუწყდა და ეს ტრავმა ფეხბურთში ერთ-ერთ ყველაზე მძიმე ტრავმად ითვლება.

ასენსიოს აღმოუჩინეს პირველადი დახმარება და ზუსტ დასკვნას, თუ რამდენ ხანში დაბრუნდება ის მოედანზე, ექიმები ჯერ ვერ ამბობენ.

ასენსიოს დაკარგვა რეალისთვის იოლი არ იქნება, რადგან ზიდანი მასზე დიდ იმედებს ამყარებდა.

რუსი მოკრივე ბრძოლის შემდეგ გარდაიცვალა

რუსი მოკრივე მაქსიმ დადაშევი პუერტორიკელ მატიასთან ორთაბრძოლის შემდეგ რამდენიმე დღე კომაში იმყოფებოდა და 23 ივლისს გარდაიცვალა.

დადაშევმა ბრძოლა ტექნიკური ნოკაუტით წააგო, როდესაც მისმა მწვრთნელმა მეთორმეტე რაუნდში ბრძოლა შეწყვიტა, თუმცა რამდენიმე წუთში რუსი მოკრივე ცუდად გახდა და სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

დადაშევს ტვინის ტრავმა დაუდგინეს და რამდენიმე ოპერაცია გაუკეთეს, მაგრამ მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

დადაშევს თავის მშობლიურ ქალაქში, სანკტ-პეტერბურგში დაასაფლავებენ.

ანტუან გრიზმანი: „ჩელსისთან მატჩით კმაყოფილი არ ვარ“

ბარსელონის ახალწვეულმა ანტუან გრიზმანმა ჩელსისთან მატჩზე ისაუბრა და თქვა, რომ ის თავისი დებიუტით კმაყოფილი არ არის, მაგრამ დარწმუნებულია, რომ მომავალში ბარსელონაში ბევრ კარგ შეხვედრას ჩაატარებს:

– ჩელსიმ გვაჯობა და სამართლიანად მოგვიგო, ამიტომ ჩემი დებიუტით კმაყოფილი არ ვარ, მაგრამ მომავალში კიდევ ბევრი მატჩი იქნება და, დარწმუნებული ვარ, უკეთეს ფორმაში ჩავდგები.

გრიზმანი ბარსელონას რამდენიმე კვირის წინ შეუერთდა და მასში კატალონიელებმა 120 მილიონი გადაიხადეს.



დიბალა, სავარაუდოდ, იუვენტუსს დატოვებს

იუვენტუსის არგენტინელი ნახევარმცველი პაოლო დიბალა, სავარაუდოდ, გუნდს დატოვებს, რადგან მაურისიო სარი მას არ ენდობა.

დიბალას წასვლაზე ადრეც იყო საუბრები, მაგრამ მაშინ არგენტინელმა დარჩენა ამჯობინა. ამჯერად ყველაფერი სხვაგვარად იქნება და დიბალას მიმართ ინტერესს რამდენიმე გუნდი იჩენს, მათ შორის არიან პსჟ და მანჩესტერ იუნაიტედი.

პსჟ მზად არის, ამ ტრანსფერში სოლიდური თანხა გადაიხადოს, თუმცა კონკრეტულად რა თანხაზეა საუბარი, ცნობილი არ არის.

კონმებოლმა მესი ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა

სამხრეთ ამერიკის საფეხბურთო ფედერაციამ კონმებოლმა ლიონელ მესი თავისი გამონათქვამების გამო ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა და 1.500 დოლარის გადახდა დააკისრა.

მესიმ ბრაზილიასთან წაგებული შეხვედრის მერე თქვა, რომ კონმებოლი კორუმპირებულია და ისინი ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ტურნირში ბრაზილიამ გაიმარჯვოს.

მესიმ ბრინჯაოს მედალზეც უარი თქვა, რადგან, მისი აზრით, ეს ტურნირი სამართლიანად არ ჩატარებულა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოსვოიდი ა



შვეულად: 1. გრეიპფრუტის ქართული სახელწოდება; 2. მდინარე დნეპრის ძველი ბერძნული სახელწოდება; 3. უბანი თბილისში; 4. ჩანჩქერი კანადა-აშშ-ის საზღვარზე; 5. ხილით, ბოსტნეულით, ტკბილეულით მოვაჭრე ძველად საქართველოში; 9. კათოლიკური მამათა მონასტრის წინამძღვარი; 11. ძვირფასი სარეწაო თევზი; 12. ქართულ მხატვრულ ფილმ „მიზანის“ რეჟისორი; 14. მსხვილად დაფქული სიმინდის მარცვალი; 18. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ჩიკაგოს აეროპორტი; 19. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში.

თარაზულად: 4. რძის პროდუქტი; 5. სანახაობითი წარმოდგენა; 6. ცნობილი გერმანელი ფეხბურთის მსაჯი; 7. მატყუარა, ყალთაბანდი ადამიანი; 8. პატარა სამგზავრო-სატვირთო ავტომობილი; 10. ცისტერნა გემზე თხევადი ტვირთისთვის; 13. ღვარძლიანი, გულღრძო ადამიანის ძველი ქართული სახელწოდება; 15. აჭარული საქორწილო-სანახაობითი წარმოდგენა ძველად; 16. ფულის ერთეული ყირგიზეთში; 17. ეკვადორის დედაქალაქი; 20. საქვეყნო საქმისთვის გაწეული შრომა, ამაგი; 21. სამონასტრო კომპლექსი ახმეტის რაიონში; 22. რომან „კუკარაჩას“ პერსონაჟი; 23. ძღვენი, საჩუქარი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა